

მაია კოტიაშვილი

ირინე მიუხედავის

2806 სხვადა  
მუსიკაში

მასწავლებლის წიგნი

VIII



## საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი

### „თავისუფლება“

ლექსი დავით მაღრაძის

ჩემი ხატია სამშობლო,  
სახატე მთელი ქვეყანა,  
განათებული მთა-ბარი,  
წილნაყარია ღმერთთანა.  
თავისუფლება დღეს ჩვენი  
მომავალს უმღერს დიდებას,  
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის  
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,  
დიდება თავისუფლებას,  
თავისუფლებას დიდება.

ზოს ცხოვი  
მუსიკაში

მასწავლებლის წიგნი

VIII კლასი

გრიფი მიენიჭა 2012 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს  
სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ  
(ბრძანება №375 18.05.2012 წ.)



„წყაროსთვალი“  
თბილისი, 2012 წელი

## **შემოქმედებითი ჯგუფი:**

ავტორი და ჯგუფის ხელმძღვანელი - **მაია ოთიაშვილი**

ავტორი - **ირინე მიქაელი**

ეთნომუსიკოსი - **მარინა ხუსენიშვილი**

Finale 2008-ის გაკვეთილები - **მიხეილ ვაწავა**

მუსიკალური რედაქტორი - **ლევან მიზანდარი**

ლიტერატურული რედაქტორი - **თამარ ფაშალიშვილი**

მთავარი რედაქტორი - **ნანა ღვინიანიძე**

მხატვარ-დიზაინერი - **თიმარი მარიამიშვილი**

დაკაბადონება:

**ზაზა გელაშვილი**

**კახაპერ ჭურუმია**

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

**მიხეილ ვაწავა**

**მარინა ჯავახიშვილი**

ფონოგრამების ავტორი

**მიხეილ ვაწავა**

აუდიო რეჟისორები:

**მიხეილ ვაწავა**

**მიხეილ კილოსანიძე**

**„წყაროსთვალი“**



**ტელ:** 274 63 69; 227 30 73;

**5(99) 76 10 39; 5(99) 30 16 84**

**ელ-ფოსტა:** tskarostvali@gmail.com

© „წყაროსთვალი“ 2012

© მაია ოთიაშვილი

ISBN 978-9941-9279-3-5

## ს ა რ ჩ ი ვ ი

ეროვნული სასწავლო გეგმა.....	5
შინაარსისადამიზნებისრუკა.....	15
აუდიო მასალის სია.....	17
შესავალი.....	20
შუა საუკუნეების მუსიკა.....	21
შემოქმედებითი ტესტები.....	21
ბაროკო.....	22
ანტონიო ვივალდი.....	23
ი.ს. ბახი.....	24
პოლიფონია და ჰომოფონია.....	24
ალფრედ შნიტკე.....	28
მსოფლიო ხალხთა ცეკვები .....	29
თანამედროვე სიმღერები.....	32
Finale 2008.....	33
ადრეული მუსიკა.....	35
შუა საუკუნეები მუსიკა .....	36
შუა საუკუნეების საერო მუსიკა .....	39
თეატრი.....	44
აღორძინება.....	47
ბალეტის ისტორიიდან.....	49
XIX საუკუნის ოპერა.....	51
როკ-მუსიკა.....	55
ქართული ხალხური მუსიკა.....	57
სანოტო დანართი.....	59
დამატებითი სარეკომენდაციო რესურსების ნუსხა.....	108

## საგნობრივი პროგრამა მუსიკაში

### 1. ზოგადი ნაწილი

#### ა) შესავალი

მუსიკა მოსწავლის მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდის საუკეთესო საშუალებაა. იგი ამდიდებს მის სულიერ სამყაროს, უყალიბებს საკუთარ დამოკიდებულებას სიკეთის, სილამაზის მიმართ. მუსიკა აზიარებს მოსწავლეს ზოგადასაკაცობრიო ღირებულებებს და, ამავდროულად, ხელს უწყობს ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებას. მუსიკას, ემოციურ ხასიათთან ერთად, შემეცნებითი ფუნქციაც აქვს და მისი შესწავლა ხელს უწყობს არა მარტო ასოციაციური, არა-მედ ლოგიკური, ანალიტიკური აზროვნების განვითარებასაც. ამასთან, მუსიკა აჩვევს მოსწავლეს გუნდურ მუშაობას, წესრიგს, დისციპლინას. გარდა ამისა, როგორც საკუთარი დამწერლობის მქონე საკომუნიკაციო ენა, მუსიკა მოსწავლეს უქმნის ნებისმიერ საზოგადოებასთან ურთიერთობის ფართო შესაძლებლობებს.

#### ბ) მუსიკის სწავლების მიზნები და ამოცანები

##### მუსიკის სწავლების მიზანია:

- მოსწავლის ჩამოყალიბება განათლებულ, კულტურულ ადამიანად, მისთვის მუსიკის სფეროში შესაბამისი ცოდნის მიცემის გზით;
- მოსწავლის მხატვრულ-მუსიკალური აღზრდა ხალხური და კლასიკური მუსიკის ნიმუშების გაცნობის გზით;
- მისი ჩაბმა შემოქმედებით საქმიანობაში და ამისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარება. ამ საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, ქართული ცეკვის სწავლება სკოლაში ითვალისწინებს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:
- მუსიკის მოსმენის ჩვევის ჩამოყალიბება;
- მუსიკალური ნაწარმოების მიმართ საკუთარი დამოკიდებულებისა და მუსიკალურ ხელოვნებაზე მსჯელობის უნარის გამომუშავება;
- წარმოსახვით-ასოციაციური აზროვნების განვითარება;
- მუსიკალური სმენისა და მეხსიერების, რიტმის გრძნობის განვითარება;
- მუსიკალური დამწერლობის, როგორც უნივერსალური საკომუნიკაციო საშუალების შესწავლა.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მუსიკის საგანი მოსწავლისთვის ზოგადი და არა პროფესიული ცოდნის მიცემას ითვალისწინებს. ყველა ბავშვს განსხვავებული მუსიკალური მონაცემები აქვს, ამიტომ კურსის სხვადასხვა მიმართულება მოსწავლეს საკუთარი ინტერესების განვითარებისა და წარმოჩენის შესაძლებლობას აძლევს. მუსიკის ასოციაციური ბუნება ხელს უწყობს საგნის ინტეგრაციას სხვა დისციპლინებთან, მაგალითად, ვიზუალურ, თეატრალურ ხელოვნებასთან, ცეკვასთან, პოეზიასთან, მხატვრულ ლიტერატურასთან, ისტორიასთან, მათემატიკასთან, ინფორმატიკასთან, ფიზიკასთან და ა. შ. რაც სასწავლო პროცესს მიმზიდველობას ანიჭებს.

#### გ) მუსიკის სწავლება საფეხურების დახასიათება

მუსიკის სასწავლო გეგმის მიხედვით, მუსიკის სწავლება გათვალისწინებულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სამივე საფეხურზე: დაწყებით და საბაზო საფეხურზე სავალდებულო, ხოლო საშუალო საფეხურზე არჩევითი საგნების სახით.

დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებით დიდია მუსიკის საგნის მნიშვნელობა, როდესაც ბავშვის თანდაყოლილი, ბუნებრივი უნარები, მიდრეკილებები მთლიანად არ გამომულავნებულა და მათ გახსნა, წარმართვა სჭირდება. ბავშვისთვის ახლობელი სხვადასხვა სახალისო აქტივობით

ხდება მისი დაინტერესება მუსიკით. ამ საფეხურზე მუსიკის საგანი ითვალისწინებს მოსწავლე-თა შემოქმედებითი უნარების ამოქმედებას, ერთობლივ შემოქმედებით პროცესებში მათ ჩართვას და მოცემულ საფეხურზე გათვალისწინებული ცოდნის მიცემას.

საბაზო საფეხურზე მუსიკის გაკვეთილებზე შეძენილი ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები მოზარდს საკუთარი თავის ძიებისა და თვითდამკვიდრების პროცესს უადვილებს. იგი საუკეთესო საშუალებაა მოზარდის განვითარებისა და ინტერესების სწორად წარსამართავად და მნიშვნელოვნად შეარბილებს იმ კრიტიკულ დამოკიდებულებას გარემოს მიმართ, რომელიც ნიშანდობლივია ამ ასაკისათვის.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხელოვნების ნაწარმოების გაგების უნარი განსხვავებული აზრისა და მსოფლმხედველობის მიმართ შემწყნარებლობასაც გულისხმობს.

საშუალო საფეხურზე მოსწავლეს საშუალება ეძლევა საკუთარი ინტერესების მიხედვით აირჩიოს ერთ-ერთი შეთავაზებული კურსი.

### მუსიკის სასწავლო კურსის შემაჯამებელი შედეგები დაწყებით და საბაზო საფეხურზე

დაწყებით საფეხურზე		საბაზო საფეხურზე
<b>შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების საფუძველზე</b>		
<b>კატეტიკული უნარ-ჩვევები</b>	ექსპლედის ბოლოს მოსწავლე:	ცხრაწლედის ბოლოს მოსწავლე:
	<p>იყენებს მუსიკალური ენის ელემენტებს, სხეულის მოძრაობას თვითგამოხატვისთვის;</p> <p>თანამშრომლობს სხვებთან როგორც საკუთარი, ისე საერთო მიზნის მისაღწევად.</p>	<p>შემოქმედებითად იყენებს მუსიკალური და დრამატული ხელოვნების გამომსახველობით ხერხებს თვითგამოხატვისთვის;</p> <p>ჩართულია ინდივიდუალურ და სხვადასხვა სახის ჯგუფურ მუშაობაში.</p>
<b>კომუნიკაცია და ინტერაქციების</b>	<p>გამოთქვამს და ასაბუთებს საკუთარ აზრს მუსიკალური ნაწარმოების შესახებ;</p> <p>აცნობიერებს, რომ მუსიკა კომუნიკაციისა და თვითგამოხატვის საშუალებაა.</p>	<p>აანალიზებს მუსიკალური ხელოვნების ნიმუშს, განმარტავს, რა მიზნით არის გამოყენებული კონკრეტული გამომსახველობითი ხერხი;</p> <p>აცნობიერებს, რომ ხელოვნება მსოფლმხედველობის გამოხატვისა და კომუნიკაციის საშუალებაა.</p>
<b>მუსიკის აღქმა კონტექსტში</b>	განიხილავს ქართული და მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების ცნობილ ნაწარმოებებს, ხელოვნების სხვადასხვა დარგს და მათ კავშირებს.	ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა ეპოქისა და სტილის ნაწარმოებებს და მსჯელობს მათ შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებზე; ერთმანეთს ადარებს და მსჯელობს განსხვავებულ მუსიკალურ სტილზე, მიმდინარეობაზე, შესრულების მანერაზე; მუსიკის როლზე საზოგადოების ცხოვრებაში, იცნობს მუსიკალური ხელოვნების ცნობილ ნარმომადგენლებს.

## **დ) მუსიკის საგნის სწავლების ორგანიზება**

მუსიკა, როგორც სავალდებულო საგანი, I-IX კლასებში ისწავლება. მის სწავლებას I-III და V-VII კლასებში ეთმობა 2, ხოლო IV კლასში - 1 აკადემიური საათი. VIII-IX კლასებში მუსიკა თითო სემესტრის მანძილზე ისწავლება 3 საათის განმავლობაში: VIII კლასში - II, ხოლო IX კლასში - I სემესტრში. მოცემული სქემა ასახავს მუსიკის საგნის საათობრივ განაწილებას კლასების მიხედვით:

### **ე) მუსიკის სწავლების მიმართულებების აღწერა**

#### **მუსიკის სწავლება სამი მიმართულებით იშლება:**

1. პრაქტიკული უნარ-ჩვევები;
2. კომუნიკაცია, ინტერპრეტაცია;
3. მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში.

სწავლება ყველა მიმართულების ფარგლებში მიმდინარეობს პარალელურად და ერთმანეთან მჭიდრო ურთიერთკავშირში.

#### **პრაქტიკული უნარ-ჩვევები**

ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ და ჩამოუყალიბდებათ პრაქტიკული ჩვევები, რომლებიც მათი შემოქმედებითი უნარების გახსნასა და ამოქმედებას ემსახურება.

მოსწავლეები გადმოსცემენ მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოებების ემოციურ-სახეობრივ შინაარსს, ან თავიანთ გარემოში მიღებულ მუსიკალურ შთაბეჭდილებებს. ამისათვის არჩევენ და იყენებენ გამოხატვის შესაფერის ფორმებს და გამომსახველობით ხერხებს, რომლებსაც მუსიკის გაკვეთილზე გაეცნენ. გარდა ამისა, მუსიკის გაკვეთილზე მოსწავლეები ეუფლებიან დაგეგმვის, ორგანიზების, ჯგუფური მუშაობის ჩვევებს.

#### **კომუნიკაცია, ინტერპრეტაცია**

მუსიკა, რომელიც აღიარებულია საკომუნიკაციო ენად, მრავალგვარი და მრავალჯერადი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეები ეჩვევიან მუსიკის მოსმენას, შეფასებას, აზრის ნათლად გამოთქმას, საკუთარი შეხედულების დასაბუთებას კამათის, მსჯელობის დროს შესაფერისი წიგნიერი ენითა და ქცევის ნორმების დაცვით, ეუფლებიან ასევე კოლექტიური მუშაობის მეთოდებს, უვითარდებათ შეფასებისა და თვითშეფასების უნარი. მოსწავლეები ესწრებიან და მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებაში. სწავლობენ, რომ მუსიკალური ხელოვნების ნაწარმოები ყოველთვის გამოხატავს გარკვეულ იდეას.

#### **მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში**

ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეები იღებენ ინფორმაციას მოსმენილი ნაწარმოებების - ქართული (ხალხური და პროფესიული) და მსოფლიო მუსიკალური კულტურის ცნობილი ნიმუშების შესახებ და აკავშირებენ მათ კულტურულ და ისტორიულ კონტექსტთან. ეს ინფორმაცია სხვადასხვა ხერხით უკავშირდება ყოველდღიურ მოვლენებს, მოსწავლეების გამოცდილებას. ისინი ეცნობიან ქართული და მსოფლიო მუსიკალური კულტურის წარმომადგენლებს — კომპოზიტორებსა და შემსრულებლებს, მუსიკალურ საკრავებს, სხვადასხვა მუსიკალურ კოლექტივს.

## VIII კლასი

მუსიკა

სტანდარტი

### წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით

პრაქტიკული უნარ-ჩვევები	კომუნიკაცია, ინტერპრეტაცია	მუსიკალური წაწარმოების აღწმა კონტექსტში
<b>მუს.VIII.1.</b> მოსწავლეს შეუძლია იმპროვიზაციის პროცესში მონაწილეობა.	<b>მუს. VIII .5.</b> მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი მუსიკალური წაწარმოების გაანალიზება.	<b>მუს.VIII.7.</b> მოსწავლე იცნობს და შეუძლია ქართული და მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების ცნობილი ნიმუშების დახასიათება.
<b>მუს.VIII.2.</b> მოსწავლეს შეუძლია სიმღერა თანაკლასელებთან ერთად.	<b>მუს.VIII.6.</b> მოსწავლეს შეუძლია გააცნოს თანაკლასელებს მუსიკალური ხელოვნების ნიმუში ან მუსიკოსის შემოქმედება.	<b>მუს.VIII.8.</b> მოსწავლე აღიქვამს მუსიკას, როგორც ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებას.
<b>მუს.VIII.3.</b> მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა დავალების შესრულება მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით.		
<b>მუს.VIII.4.</b> მოსწავლეს შეუძლია სასწავლო პროექტში მონაწილეობა.		

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

#### მიმართულება: პრაქტიკული უნარ-ჩვევები

##### მუს.VIII.1. მოსწავლეს შეუძლია იმპროვიზაციის პროცესში მონაწილეობა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მღერის მელოდიურ საქცევს სეკვენციური გადაადგილებით;
- სიმღერით აბოლოებს მასწავლებლის ან თანაკლასელის მიერ დაწყებულ მელოდიას, უპასუხებს მუსიკალურ ფრაზას, რიტმულ ფიგურას;
- ნასწავლ ლექსს შეურჩევს მელოდიას;
- შეუწყობს ხმას თანაკლასელის მიერ ნამღერ მელოდიას.

##### მუს.VIII.2. მოსწავლეს შეუძლია სიმღერა თანაკლასელებთან ერთად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მღერის გუნდში ორ – და სამხმან სიმღერებს ხალხური და კლასიკური რეპერტუარიდან;
- მღერის კანონის ტიპის სავარჯიშოებს, სიმღერებს;
- არჩევს სხვადასხვა გამომსახველობით ხერხს მუსიკალური წაწარმოების შესრულებისას;
- ასრულებს მუსიკალური წაწარმოების ფრაგმენტებს / სიმღერებს და ეყრდნობა სანოტო ჩანაწერს.

##### მუს.VIII.3. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა დავალების შესრულება მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იცნობს მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამების სხვადასხვა შესაძლებლობას (მუსიკის ჩანაწერის, ფაქტურის, ტემპოს შერჩევა, რიტმული და აკორდული თანხლება);
- მოცემული დავალების შესრულებისას იყენებს თეორიულ ცოდნას (მუსიკის ანბანი, ფორმა, ჰარმონია);
- ქმნის მარტივ მუსიკალურ კომპოზიციებს.

#### **მუს.VIII.4. მოსწავლეს შეუძლია სასწავლო პროექტში მონაწილეობა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მონაწილეობს პროექტის მიზნის განსაზღვრასა და დაგეგმვაში;
- მოიძიებს თეორიულ მასალას, ქმნის რესურსს;
- მონაწილეობს კონცერტის, წარმოდგენის, ტელე/რადიო გადაცემის დადგმაში, უურნალის მომზადებაში;
- მონაწილეობს პროექტის წარდგენასა და შეფასებაში.

#### **მიმართულება: კომუნიკაცია, ინტერპრეტაცია**

#### **მუს.VIII.5. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების გაანალიზება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საუბრობს მუსიკალური ნაწარმოების მოსმენით გამოწვეულ შთაბეჭდილებაზე;
- განსაზღვრავს მუსიკალური ნაწარმოების უანრს (ოპერა, ბალეტი, სიმფონია, ინსტრუმენტული კონცერტი...), სტილს (კლასიკური, ხალხური, თანამედროვე);
- მოსმენის დროს ახასიათებს მუსიკის გამომსახველობით საშუალებებს;
- ახასიათებს შემადგენლობას: ინსტრუმენტული (დიდი და კამერული ორკესტრი, კამერული ანსამბლი), ვოკალური, ვოკალურ-ინსტრუმენტული (დიდი და კამერული შემადგენლობა);
- საუბრის დროს იყენებს სახელოვნებო/ მუსიკალურ ტერმინოლოგიას;
- ამოიცნობს მუსიკალურ ნაწარმოებებს მოსმენისას.

#### **მუს.VIII.6. მოსწავლეს შეუძლია გააცნოს თანაკლასელებს მუსიკალური ხელოვნების ნიმუში ან მუსიკოსის შემოქმედება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- შეარჩევს მისთვის საინტერესო მუსიკალურ ნაწარმოებს / შემსრულებელს / კომპოზიტორს;
- მოიძიებს და ამუშავებს ინფორმაციას მუსიკალური ნაწარმოების, კომპოზიტორის, შემსრულებლის შესახებ;
- წარადგენს მოძიებულ ინფორმაციას, საკუთარ შთაბეჭდილებას მუსიკალური ნაწარმოების, ამა თუ იმ მუსიკოსის შესახებ;
- მოიძიებს მუსიკალურ (აუდიო-ვიდეო) მასალას, საჭირო აპარატურას და იყენებს მას პრეზენტაციის დროს.

#### **მიმართულება: მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში**

#### **მუს.VIII.7. მოსწავლე იცნობს და შეუძლია ქართული და მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების ცნობილი ნიმუშების დახასიათება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადარებს ერთი და იმავე უანრის სხვადასხვა ნაწარმოებს და საუბრობს მათ დამახასიათებელ ნიშნებზე;
- ადარებს სხვადასხვა დიალექტის ერთი და იმავე უანრის ხალხურ სიმღერებს;
- ადარებს ერთმანეთს ერთი და იმავე ავტორის / ეპოქის ნაწარმოებებს (დამახასიათებელი უანრები, სტილი, თემატიკა, ხელწერა...);
- ახასიათებს ნაცნობ მუსიკალურ ფორმებს და ადარებს ამ ფორმით დაწერილ მუსიკალურ ნაწარმოებებს;
- უპასუხებს ცნობილი კომპოზიტორის, შემსრულებლის ბიოგრაფიასთან, შემოქმედებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს.

#### **მუს.VIII.8. მოსწავლეს აღიქვამს მუსიკას, როგორც ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებას.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განასხვავებს მუსიკალურ სტილებს კულტურისა და ეპოქის მიხედვით;
- მსჯელობს, რა გაიგო ამა თუ იმ კულტურისა და ეპოქის შესახებ კონკრეტული მუსიკალური ნაწარმოების გაცნობით;
- საუბრობს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება კონკრეტული მუსიკალური განწყობილების, კომპოზიტორის ჩანაფიქრის გამოხატვა მუსიკალური გამომსახველობის სხვადასხვა ხერხის საშუალებით;
- განიხილავს მუსიკის როლს ხელოვნების სხვა დარგებისთვის.

#### **პროგრამის შინაარსი**

#### **იმპროვიზაციული სავარჯიშოები:**

- მელოდიური საქცევის სეკვენციური გადაადგილება;
- ნასწავლი ლექსისთვის მელოდიის შერჩევა;
- ხმის შეწყობა.

## სიმღერა:

- კანონის ტიპის მელოდიების შესრულება გუნდში;
- სიმღერა თანხლებით და მის გარეშე;
- ორხმიანი და სამხმიანი სიმღერები ქართული და მსოფლიო ხალხური და პროფესიული რეპერტუა-რიდან, მაგალითად, „დიდი ხნიდან გაგიცანი“ (გურული), „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“ (ქართლ-კახური), „წმიდაო ღმერთო“ (სადა კილო), ვ. ა. მოცარტი - „Die Nachtigall“, the Beatles - „Can't Buy Me Love“ და ა. შ.

## მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამები:

- Logic, Cubase, Finale;
- დავალებების შესრულება;
- მარტივი კომპოზიციების შექმნა.

## პროექტებში მონაწილეობა:

- თეორიული მასალის მოძიება, რესურსის შექმნა;
- პროექტის მომზადებაში, წარდგენასა და შეფასებაში მონაწილეობა.

## მუსიკის თეორია და ისტორია:

- მუსიკალური ჟანრები (ოპერა, ბალეტი, სიმფონია, ინსტრუმენტული კონცერტი...);
- მუსიკალური სტილები (კლასიკური, ხალხური, თანამედროვე);
- შემსრულებელთა შემადგენლობა: ინსტრუმენტული (დიდი და კამერული ორკესტრი, კამერული ანსამბლი), ვოკალური, ვოკალურ-ინსტრუმენტული (დიდი და კამერული შემადგენლობა);
- მუსიკალური/ სახელოვნებო ტერმინოლოგია.

## სარეკომენდაციო მოსასმენი მასალა:

- ხალხური სიმღერები; ფრაგმენტები ბაროკოს, კლასიციზმის, რომანტიზმის, XX საუკუნისა და ქართველ კომპოზიტორთა პოპულარული ნაწარმოებებიდან, მაგალითად, აჭარული ოთხემიანი ნადური, მეგრული "კუჩხი ბედინერი", კახური "ჭონა", საგალობელი "შენ ხარ ვენახი" (ფალიაშვილის ვარიანტი); სარდინიული მრავალხ-მიანი სიმღერა Actores Alidos – Chelu e mare/Tralallera, ინდური რაგა „Harikambhoji“; ა. მაჭავარიანი - სავიოლინო კონცერტი, ს. ნასიძე - სიმფონია "ფიროსმანი" (ფრაგმენტები), მ. შულლიაშვილი - „egzersisi“ ფორტეპიანოს-თვის; გ. ფ. ჰენდელი - გუნდი „Alleluia“ ორატორიიდან „მესია“, ფ. შოპენი - ბალადა №1, ჯ. ვერდი - ფრაგ-მენტები იპერიდან „აიდა“, „რეკვიემი“ (ფრაგმენტები), რ. ვაგნერი - "ვალკირიების გაფრენა", ტეტრალოგია „ნიბელუნგების ბეჭედი“, იპერიდან „ვალკირია“; პ. ჩაიკოვსკი - კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის № 1; ფ. მენდელსონი - კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის; კ. დებიუსი - პრელუდია „პეკის ცეკვა“, სა-ფორტეპიანო პიესა „მთვარის შუქი“; ი. სტრავინსკი - „რუსული ცეკვა“ ბალეტიდან „პეტრუშკა“ (საფორტეპიანო ვერსია); ა. შონბერგი - კამერული სიმფონია, დ. შოსტაკოვიჩი - კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის № 1; ჯ. კეიჯი - „ნიულის თამაში“; ფ. სინატრა - „New York, New York“, A. Barozzo – „Brazil“, The Beatles – „Can's buy my Love“, J. Styne - ფრაგმენტები მიუზიკლიდან „Funny Girl“, Sting - Shape Of My Heart, Motley Crue – „Home sweet home“ და სხვ.

## შეფასება მუსიკაში

### შეფასების კომპონენტები

## საშინაო და საკლასო დავალებათა კომპონენტები

### ფასდება შემდეგი ცოდნა და უნარები:

- მუსიკალური ხელოვნების ნასწავლი ნიმუშების ცოდნა;
- მუსიკის ისტორიისა და თეორიის ზოგადი საკითხების ცოდნა;
- მუსიკალური დამწერლობის ცოდნა;
- მუსიკალური ტერმინოლოგიის ცოდნა;

- მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
- შემოქმედებითობა;
- იმპროვიზაციულობა;
- მუსიკის მოსმენის ჩვევა;
- მუსიკალური სმენა;
- მუსიკალური მეხსიერება;
- რიტმის გრძნობა;
- წარდგენის (პრეზენტაციის) უნარი;
- სოციალური უნარები;
- საკუთარი აზრის დასაბუთების უნარი;
- ტოლერანტობა.

**ცოდნა და უნარ-ჩვევები ფასდება შემდეგი აქტივობებით:**

### **საშინაო დავალებები**

- მასალის მოძიება;
- რეფერატის მომზადება;
- რეცენზიის დაწერა;
- ტექსტის (ლიტერატურული და სანოტო) დასწავლა;
- დავალების შესრულება მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით და ა. შ.

### **საკლასო დავალებები**

- შემოქმედებით საქმიანობაში მონაწილეობა: სიმღერა, იმპროვიზაცია, მუსიკალურ-დრამატული კომპოზიციები, მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამების შექმნა;
- კონცერტის, წარმოდგენის რეპეტიციებში მონაწილეობა;
- პროექტის მომზადება;
- მუსიკის მოსმენა და ამასთან დაკავშირებული დავალებების შესრულება;
- საკუთარი და სხვისი შესრულების / შემოქმედების განხილვაში მონაწილეობა;
- მუსიკალური ნაწარმოების კონტექსტის განხილვა;
- სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვა და მომზადება;
- საკუთარი ნაშრომის, შემოქმედებითი საქმიანობის წარდგენა;
- სხვადასხვა დავალების შესრულებისას მუსიკალური დამწერლობის გამოყენება და ა. შ.

### **შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი**

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში უნდა შემოწმდეს ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლე უნდა შეძლოს მუსიკის სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების წარმოჩენა. შესაბამისად, შემაჯამებელი დავალებები უნდა ამოწმებდეს მუსიკის სტანდარტებით განსაზღვრულ შედეგებს.

### **შემაჯამებელ დავალებათა ტიპები:**

სტანდარტის მოთხოვნათა დასაფარად, რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება. მუსიკის შემაჯამებელ დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს:

- კონცერტი/ წარმოდგენა;
- ვიქტორინა;
- მოხსენება-რეფერატი;

- ლექცია-კონცერტი;
- პრეზენტაცია;
- ტესტირება;
- გამოცდა;
- პროექტი.

მოსწავლის მიერ შესრულებული პროექტის სავარაუდო თემები:

თემატური ნარმოდგენის/კონცერტის გამართვა; ტელეგადაცემის, რადიოგადაცემის, სპექტაკლის მომზადება; გაზეთის, ჟურნალის, სანოტო ალბომის მომზადება; კლიპის გადაღება სიმღერის, მუსიკალური ნაწარმოების ან სხვა თემაზე; სკოლაში ცნობილი კომპოზიტორის, მომღერლის, რეჟისორის მიწვევა, შეხვედრის ორგანიზება და ნარმართვა და ა. შ. მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აქმაყოფილებდეს შემაჯამებელი დავალებები:

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე;
- მითითებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება-შემაჯამებელი დავალება.

### **ნიმუში: მუსიკალური ნაწარმოების გაცნობა თანაკლასელებისთვის**

მოამზადეთ პრეზენტაცია და გააცანით თქვენს თანაკლასელებს ინსტრუმენტული კონცერტის ნიმუში. ამისათვის:

1. მოიძიეთ, მოისმინეთ და შეარჩიეთ დასახელებული ჟანრის ის მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც მოგეწონათ;
2. თქვენი მიზანია შერჩეული მუსიკალური ნაწარმოების თანაკლასელებისთვის წარდგენა და მათი დამოკიდებულების გამოწვევა;
3. შეარჩიეთ და გააცანით თანაკლასელებს ის ფრაგმენტები, სადაც ძირითადი თემატური მასალა უღერს როგორც სოლო საკრავთან, ასევე ორკესტრის პარტიაში; ასევე ის მონაკვეთები, სადაც მუსიკალური მასალის განვითარება განსაკუთრებით საინტერესოდ გეწვენებათ;
4. მოიძიეთ ფაქტობრივი მასალა შერჩეული ნაწარმოების შესახებ - ეპოქა, სტილი, კომპოზიტორი, ნაწარმოები (ჟანრი, სტილი, სოლო საკრავი, შემსრულებელთა შემადგენლობა), შემსრულებელი, დირიჟორი, შემსრულებელთა კოლექტივი, დარბაზი (სურვილის მიხედვით);
- ეცადეთ, ისე გადაანაწილოთ მუსიკალური და ვერბალური მასალა, რომ მოსწავლეების მხრიდან არ განელდეს ინტერესი. საჭიროებისამებრ გამოიყენეთ ვიზუალური მასალაც - ვიდეო ჩანაწერი, ფოტო, სანოტო ტექსტი;

- პრეზენტაციის დროს, როგორც მოსალოდნელია, შერჩეულ ნაწარმოებთან დაკავშირებულ ყველა საკითხს დაწვრილებით ვერ განიხილავთ. ეცადეთ, თქვენს მეგობრებს მოკლედ გააცნოთ ნაწარმოებთან დაკავშირებული ძირითადი ინფორმაცია. პრეზენტაციის მომზადებისას გაითვალისწინეთ მათი ინტერესები, ცოდნა; ყურადღება გაამახვილეთ იმ საკითხებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს თქვენი მეგობრების მხრიდან ნაწარმოების მიმართ ინტერესის გაღვიძებას და მის უკეთ აღქმას;

- მოემზადეთ პრეზენტაციის ბოლო ნაწილის - კითხვა-პასუხისათვის. წინასწარ განსაზღვრეთ სავარაუდო კითხვები და ჩამოაყალიბეთ პასუხები. არ მოერიდოთ პარალელების გავლებას. პასუხი, შესაძლებელია, მუსიკალური მასალითაც გასცეთ. აქ გამოვლინდება, რამდენად კარგად ფლობთ მასალას;

- ტექნიკური საკითხების მოსაგვარებლად დაიხმარეთ ასისტენტი.

## **კრიტერიუმები**

1. მასალის ფლობა;
  2. კომუნიკაცია;
  3. საორგანიზაციო საკითხები;
  4. შემოქმედებითობა.
1. მასალის ფლობა (ცოდნა და უნარები) 0-3
    - მოთხოვნის ადეკვატური მუსიკალური ნაწარმოების შერჩევა;
    - ძირითადი თემატური მასალის (მთავარი და დამსმარე თემები) ამსახველი მუსიკალური ფრაგმენტების შერჩევა;
    - მრავალფეროვანი ინფორმაციის წარდგენისას ნაწარმოებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის წარმოდგენა;
    - კითხვებზე ამომწურავი პასუხის გაცემა.
  2. კომუნიკაცია 0-3
    - მუსიკალური ნაწარმოების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების წარმოჩენა;
    - მასალის აუდიტორიისთვის მისაწვდომი სახით წარდგენა და დაინტერესება;
    - ინფორმაციის ნათლად, გასაგებად გადმოცემა;
    - კითხვებზე პასუხის გაცემისას დაზუსტება.
  3. საორგანიზაციო საკითხები 0-1
    - ტექნიკური საკითხების მოგვარება.
  4. შემოქმედებითობა 0-3
    - ნაწარმოებთან დაკავშირებული ინფორმაციიდან გადარჩევა და თანაკლასელებისთვის გაცნობა;
    - გამოსვლისას მასალის (აუდიო, ვიზუალური, ვერბალური) მონაცვლეობის დაგეგმვა;
    - ნაწარმოების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

## **შეფასებათა სისტემა და ფორმები**

**შეფასება სწავლების მნიშვნელოვანი ნაწილია. ვიყენებთ 2 ტიპის შეფასებას — განმსაზღვრელ-სა და განმავითარებელს.**

**1. განმსაზღვრელი შეფასება — განსაზღვრავს მოსწავლეთა სწავლის დონეს სასწავლო გეგმასა და სასწავლო მიზნებთან მიმართებაში. იგი შედეგზე მოიწოდებული და აუცილებლად ქულებით ფადება. განმსაზღვრელი შეფასების დროს მასწავლებელი არ იძლევა განმარტებებს, რჩევებსა და რეკომენდაციებს შედეგების გასაუმჯობესებლად. ფასდება და ჯამდება სხვადასხვა აქტივობები: ტესტი, პრეზენტაცია, პროექტი, საკლასო სამუშაოები და სხვ.**

**2. განმავითარებელი შეფასება გამოიყენება მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. სწავლების პროცესში ფასდება მოსწავლის ამა თუ იმ სფეროში შესწავლა-დასწავლის დონე, საშინაო დავალებების შესრულება, გაკვეთილზე ჩართულობა, პროექტის წარდგენა და სხვ. მასწავლებელი მოსწავლეს აფასებს ისე, რომ ეს მოსწავლეს განვითარებასა და საკუთარი ცოდნის გაცნობიერებაში დაეხმაროს. ასეთი ურთიერთთანამშრომლობის ფორმა ქულებით არ ფასდება, რადგან იგი რჩევას, რეკომენდაციას, პრობლემათა გადაჭრის გზებზე მიუთითებს. განმავითარებელი შეფასებისათვის შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდის გამოყენება: დაკვირვება, კომენტარი და სხვ.**

**დაკვირვება — ჩანაწერი, კომენტარები მოსწავლეთა მიღწევების შესახებ — გამოიყენება სხვადასხვა ეტაპზე, იქნება ეს კითხვებზე პასუხი, საკლასო წერა, დაფასთან მუშაობა, თუ ჯგუფური და ინდივიდუალური მეცადინეობები და სხვ.**

**კომენტარი** — ეს არის ინფორმაცია, რომელსაც მასწავლებელი აწვდის მოსწავლეს კონკრეტული პასუხის და დავალების შესრულებისას. ამ დროს შეიძლება გამოვიყენოთ შექება, წახალისება, გამხნევება და რჩევა შეცდომის გამოსასწორებლად.

განმავითარებელი შეფასება საკუთრივ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებასაც (თანაკლასელთა მიერ ერთმანეთის შეფასება) მოიცავს. მოსწავლე თავად ადევნებს თვალს საკუთარ თავს, ობიექტურად აფასებს საკუთარ შესაძლებლობებსა და მიღებულ ცოდნას, რაც დამოუკიდებლად სწავლებასა და თვითკრიტიკული უნარის განვითარებაში ეხმარება. თვითშეფასების სხვადასხვა სქემა შეიძლება მოსწავლემ და მასწავლებელმა ერთად შეიმუშავონ ყოველი გაკვეთილის, თემის თუ რომელიმე კონკრეტული შემთხვევისათვის.

### **განმავითარებელი შეფასება, რეკომენდაციები VIII კლასის მუსიკის სახელმძღვანელოსთვის**

მასწავლებლის რესურსი: წიგნაკი, ან რვეული კომენტარების, შენიშვნებისა და რჩევებისათვის

განმავითარებელი შეფასებისათვის მასწავლებელმა, სასურველია, ყოველ გაკვეთილზე აწარმოოს დაკვირვება თავის წიგნაკში- აღნიშნოს თითოეული მოსწავლის ცოდნის ხარისხი და დონე სხვადასხვა სფეროში; შეაფასოს, მისცეს შენიშვნები და რჩევები ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხში სიძნელეთა დაძლევისა და ხარვეზების გამოსწორების მიზნით. ასე მაგალითად:

1. სიმღერის შესწავლისა და შესრულების დროს- როგორ ინტონირებს მოსწავლე, რამდენად ზუსტია ინტონირების ხარისხი, რიტმულობა, რამდენად სწორად გამოთქვამს სიტყვი- ერ ტექსტს, როგორია მისი მეხსიერება, პლასტიურობა, არტისტიზმი.....ყველა ამ კომპონენტთან დაკავშირებით მასწავლებელი აკეთებსს კომენტარს შექების, წახალისების და ასევე ხარვეზების დაძლევის მიზნით, ჯგუფური მეცადინეობის დროს, ყურადღება ექცევა ანსამბლურობის შეგრძნებას და სინქრონს.
2. თემისათვის – „სოლფეჯიოს გაკვეთილები“ და „ფურცლიდან კითხვა“ – ყურადღება ექცევა სანოტო დამწერლობის ცოდნას, საგასაღებო ნიშნების, ნოტების სწორად წაკითხვასა და ჩანრერას, გრძლიობებისა და პაუზების ცოდნას, ფურცლიდან კითხვის დროს სწორად ინტონირების, დირიჟორობის უნარებს და ა.შ. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე რომელიმე კომპონენტს ვერ ძლევს, მასწავლებელი დამატებით დამოუკიდებელ სამუშაოებს აძლევს
3. თემისთვის – მუსიკის ისტორიიდან – ყურადღება ექცევა მოსწავლეთა მიერ სხვადასხვა ეპოქაზე, სტილზე, უანრსა და ფორმაზე სწორ წარმოდგენას, კომპოზიტორთა ცხოვრებისა და შემოქმედებითი გზის მნიშვნელოვანი თარიღების ცოდნას, მეტყველების დროს, მუსიკალური ტერმინოლოგიის სწორად გამოყენებას, მუსიკის მოსმენისას – წარმოების უანრისა და ხასიათის განსაზღვრას, საკუთარი დამოკიდებულების გამოვლენას, სხვადასხვა საკრავის უღერადობის გარჩევას. შეუძლია თუ არა მოსწავლეს საკრავთა ჯგუფებად დაყოფა და მათი ვიზუალურად ცნობა, წარმოდგენილ ფოტოებზე კომპოზიტორთა ამოცნობა და ა.შ. ამა თუ იმ კომპონენტში ხარვეზების აღმოსაფხვრელად, საჭიროა დამატებითი სამუშაოს ჩატარება (მაგ: დამატებითი მოსმენა და სხვ.).

განმავითარებელი შეფასებების შემდეგ, მასწავლებელი ეტაპობრივად ამონტმებს მოსწავლეთა მიერ დამატებით განეულ სამუშაოებს და აფასებს მათ ცოდნას. მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთთანამშრომლობის შედეგად მოსწავლეები გამოსაწორებენ ხარვეზებს.

## შინაარსისა და მიზნების რუკა

პარაგრაფის დასახელება							
	აკადემიური სათი	შესწორებულების შეუძლია იმპროფიზაციის პრი- ცესში განვითარობა.					
ადრეული მუსიკა (შესავალი). ფურცლიდან კითხვა	1	X					
ბიზანტიური მუსიკა	1						
ჯ. ლაკალე. ამაპოლა	1	X	X				
გრიგორისეული საგალობელი. ფურცლიდან კითხვა	1		X				
სანოტო დამწერლობა	1		X				
როგორ განვითარდა მრავალხმიანობა	1		X				
შუა საუკუნეების საკრავები	1		X				
Gaudemus igitur. ფურცლიდან კითხვა	1	X	X				
შუა საუკუნეების საერო მუსიკა	1		X				
არჩილ კერესელიძე. ჩემი ქვეყნის ბუნება	1	X	X				
რენესანსი	1		X			X	X
შემოქმედებითი ტესტი — დასაწყისი	1	X	X			X	X
ქართული გალობა. ფურცლიდან კითხვა	1	X	X			X	X
ინგლისური ბალადა	1		X			X	X
შოპენის ბალადა. ფურცლიდან კითხვა	1	X	X			X	X
ნუგზარ ერგემლიძე. „თოვლი მოდის“	1	X	X			X	X
ოპერის წარმოშობა	1		X			X	X
პირველი ოპერა	1		X			X	X
ვენეციური ოპერა	1		X			X	X
ნეაპოლიტანური ოპერა	1		X			X	X
ფრანგული ოპერა	1		X			X	X
ანდრეა ბიქსიო. Mamma	1	X	X			X	X
ინგლისური ოპერა	1		X			X	X
საოპერო რეფორმა. ფურცლიდან კითხვა	1		X			X	X
რიპარდ ვაგნერი	1		X			X	X
ვაგნერის საოპერო რეფორმა	1		X			X	X
ზაქარია ფალიაშვილი	1		X			X	X

## შინაარსისა და მიზნების რუკა

პარაგრაფის დასახელება

	ასადემიური საათი	მუ. VIII. 1. მოსწავლეს შეუძლია იქცოვაზოგაცის პრო-ცესში გონილება.	მუ. VIII. 2. მოსწავლეს შეუძლია სტადიუნის თანამდებო-ლურთან ერთოდ.	მუ. VIII. 3. მოსწავლეს შეუძლია სტადიუნის ჯაჭვალის შესრულება მუსიკულურ-კონცერტულური პროგრამების გამოყენებით.	მუ. VIII. 4. მოსწავლეს შეუძლია სასწავლო პროცესში მონაბილეობა.	მუ. VIII. 5. მოსწავლეს შეუძლია მთამართული მუსიკულური ნიანზების განვითარება.	მუ. VIII. 6. მოსწავლეს შეუძლია გააცნოს თანამდებო-ლურს მუსიკულური ხელოვნების ნიზეზე ვარენტული შემოქმედება.	მუ. VIII. 7. მოსწავლეს იცნობს და შეუძლია ქართული და შოთარული მუსიკულური ხელოვნების ნიზეზე ვარენტული ნიზეზების დანართები.	მუ. VIII. 8. მოსწავლისა და კომუნიკაციის საშუალებება.
ჩემო კარგო ქვეყანავ	1	X	X						X
ქართლი. ფურცლიდან კითხვა	1	X	X			X	X	X	X
კახეთი	1	X	X			X	X	X	X
მესხეთი	1	X	X			X	X	X	X
რაჭა. შემოქმედებითი ტესტი	1	X	X			X	X	X	X
ლეჩხუმი	1	X	X			X	X	X	X
სვანეთი	1	X	X			X	X	X	X
სამეგრელო	1	X	X			X	X	X	X
მერი დავითაშვილი	1					X	X	X	X
გია ყანჩელი. ჰერიო ბიჭებო	1	X	X			X	X	X	X
ხალხური მუსიკა კომპოზიტორთა შემოქმედებაში	1		X			X	X	X	X
ბაროკო	1		X			X	X	X	X
ანტონიო ვივალდი	1		X			X	X	X	X
გეორგ ფრიდრიხ ჰენდელი	1		X			X	X	X	X
ორატორია „მესია“	1		X			X	X	X	X
იოჰან სებასტიან ბახის საკლავირო შემოქმედება	1		X			X	X	X	X
ლ. კოჟენი. Hallelujah	1	X	X			X	X	X	X
მენუეტი. ფურცლიდან კითხვა	1	X	X			X	X	X	X
უორუ ბიზე. ფურცლიდან კითხვა	1		X			X	X	X	X
ჯ. ლენონი და პ. მაკარტნი. Cant'buy me love	1	X	X			X	X	X	X
იგორ სტრავინსკი. ფურცლიდან კითხვა	1		X			X	X	X	X
ალექსი მაჭავარიანი	1		X			X	X	X	X
ოთარ დიხამინჯია. ბულბულო, ნაზო...	1	X	X			X	X	X	X
არნოლდ შონბერგი	1		X			X	X	X	X
მუხამბაზი თბილისს	1	X	X			X	X	X	X
Happy New Year. ფურცლიდან კითხვა	1	X	X			X	X	X	X
კვარტა-კვინტური წრე. ფურცლიდან კითხვა	1		X			X	X	X	X
Finale 2008	1	X	X	X		X	X	X	X

## აუდიო მასალის სია

### დისკი I

1. ქართული საგალობელი — „შენ ხარ ვენახი“
2. ჯოვანი პალესტრინი — „Kyrie“
3. ბიზანტიური საგალობელი — 1
4. ბიზანტიური საგალობელი — 2
5. გრიგორისეული საგალობელი — „Ave Maria“
6. გვიდო არეცოს ჰიმნი
7. შუა საუკუნეების იტალიური ინსტრუმენტული მუსიკა
8. პეროტინი — „ორგანუმი“
9. გიორგი დე მაში — „კანცონა“
10. შუა საუკუნეების მელოდია კელტურ არფაზე
11. გუდასტვირების მუსიკა
12. XIII საუკუნის გერმანული სიმღერა — „ტრუბადურები“
13. უოსკენ დეპრე — „პავანა“
14. გაბრიელი — „დავითის ფსალმუნები“
15. ორლანდო ლასო — „ალილუია“
16. ჯოვანი პალესტრინა — აგნუს დეი „Agnus Dei“
17. იტალიური ალორძინების სიმღერა
18. პეტრე ჩაიკოვსკი, I საფორტეპიანო კონცერტი, I ნაწილი, სი-ბემოლ მინორი
19. ილია II. საგალობელი წმიდაო „ლმერთო“
20. წმინდა ნინოს ტროპარი
21. ჯონ დოულენდი. დანიის მეფისადმი მიძღვნილი „სამეფო მარში“
22. ჯონ დოულენდი. ბალადა სტინგისა და კარამაზოვის შესრულებით
23. ფრედერიკ შოპენი საფორტეპიანო ბალადა №1
24. ჯულიო კაჩინი „Ave maria“
25. ჯაკომო პერი — „ევრიდიკე“ — შესავალი
26. კლაუდიო მონტევერდი — „სამეფო კონცერტი“
27. ალესანდრო სკარლატი — მოტეტი
28. უან ბატისტ ლული — „კურანტა“
29. პენრი პერსელი — „The Early Queen“
30. პენრი პერსელი — დიდონას არია, ოპერა „დიდონა და ენეოსი“, ჯ. ნორმანის შესრულებით
31. პენრი პერსელი — „არია“
32. გეორგ პენდელი — „ჩაკონა“
33. უან ბატისტ ლული — მენუეტი
34. ქრისტოფ ვილიბალდ გლუკი — ოპერა „ორფეოსი“, „ორფეოსის არია“, III მოქმედება
35. ქრისტოფ ვილიბალდ გლუკი — ოპერა „ორფეოსი“, ფლეიტის სოლო, II მოქმედება
36. რიპარდ ვაგნერი. ოპერა „ლოენგრინი“, „საქორნინო მარში“, II მოქმედება
37. რიპარდ ვაგნერი. ოპერა „ვალკირია“, ვალკირიების გადაფრენა, III მოქმედება
38. ზაქარია ფალიაშვილი. ოპერა „აბესალომ და ეთერი“, ანსამბლი „წამწამსა და წამწამს შუა“, IV მოქმედება
39. ზაქარია ფალიაშვილი. ოპერა „აბესალომ და ეთერი“, ცეკვა ქართული, II მოქმედება
40. ქართლი „ქართველო ხელი ხმალს იკარ“
41. ქართლი „ზემყრელო“
42. ქართლი — „ბუქნა ჭოტო“
43. ქართლი — ბერიკული დასაკრავი გუდასტვირზე
44. ნიკო სულხანიშვილი „დაიგვიანეს“. ჰ. გონაშვილის შესრულებით
45. კახეთი „წინ წყარო“. ჰ. გონაშვილის შესრულებით
46. კახეთი „გოგიასა, გოგიასა“

47. მესხეთი. სამყრელო  
 48. რაჭა „ორიდილი“  
 49. ედვარდ გრიგი. საფორტეპიანო კონცერტი №1, I ნაწილი, ლა მინორი  
 50. ლეჩეუმი „კიკოლიკო ზალიკო“  
 51. სვანეთი „მირანგულა“  
 52. სვანეთი „ლილე“  
 53. სამეგრელო „აშო ჩელა“  
 54. სამეგრელო „კუჩხი ბედინერი“  
 55. პეტრე ჩაიკოვსკი — საფორტეპიანო კონცერტი №1, III ნაწილი  
 56. ანდრია ბალანჩივაძე — საფორტეპიანო კონცერტი №3, II ნაწილი  
 57. იოჰან სებასტიან ბახი. საორკესტრო სუიტა „არია“  
 58. ანტონიო ვივალდი. „წელინადის დრონი“ — ზაფხული  
 59. გეორგ ფრიდრიხ შენდელი. ორატორია „მესია“, ალელუია  
 60. გეორგ ფრიდრიხ შენდელი. „მუსიკა სამეფო ფეიერვერკისთვის“, უვერტიურა  
 61. იოჰან სებასტიან ბახი — „ტოკატა და ფუგა“, რე მინორი  
 62. იოჰან სებასტიან ბახი — „კარგად ტემპერირებული კლავირი“, პრელუდია და ფუგა №2, დო მინორი  
 63. ლეოპოლდ მოცარტი — მენუეტი  
 64. იოჰან სებასტიან ბახი — მენუეტი  
 65. უორუ ბიზე — ოპერა „კარმენი“, კარმენის „ჰაბანერა“, I მოქმედება, მ. კალასის შესრულებით  
 66. უორუ ბიზე — საორკესტრო სუიტა „არლელი ქალი“, I ნაწილი  
 67. იგორ სტრავინსკი — ბალეტი „პეტრუშკა“, რუსული ცეკვა, I მოქმედება  
 68. ალექსი მაჭავარიანი — მავრიტანული ცეკვა, ბალეტიდან „ოტელო“  
 69. არნოლდ შონბერგი — „კამერული სიმფონია“

## **დისკი II — „იმღერე თვითონ“**

- ჯ. ლაკალე. „ამაპოლა“, ასრულებს პლაჩიდო დომინგო
- ჯ. ლაკალე. ამაპოლა - „მინუს“ ფონოგრამა
- C. W. Kindleben „viva academia“
- C. W. Kindleben „viva academia“ - „მინუს“ ფონოგრამა
- არჩილ კერესელიძე „ჩემი ქვეყნის ბუნება“ ასრულებს ირინა ხეჩიანოვი
- არჩილ კერესელიძე „ჩემი ქვეყნის ბუნება“ - „მინუს“ ფონოგრამა
- ნუგზარ ერგემლიძე „თოვლი მოდის“ ასრულებს ავტორი
- ნუგზარ ერგემლიძე „თოვლი მოდის“ - „მინუს“ ფონოგრამა
- C.E. Bixio Mamma ასრულებს რობერტინო ლორეტი
- C.E. Bixio Mamma ასრულებს ია ოთიაშვილი, ფორტეპიანო - ელენე რაქვიაშვილი
- C.E. Bixio Mamma - „მინუს“ ფონოგრამა
- რევაზ ლალიძე „ჩემო კარგო ქვეყანავ“ ასრულებს გოგი დოლიძე და ანსამბლი „ქართული ხმები“
- რევაზ ლალიძე „ჩემო კარგო ქვეყანავ“ - „მინუს“ ფონოგრამა
- გია ყანჩელი „ჰერიო ბიჭებო“ ასრულებს ჯანსუდ კახიძე
- გია ყანჩელი „ჰერიო ბიჭებო“ - „მინუს“ ფონოგრამა
- ლ. კოჭენი „Hallelujah“ ასრულებს რუფუს ვეინრაიტი
- ლ. კოჭენი „Hallelujah“ - „მინუს“ ფონოგრამა
- ჯ. ლენონი და პ. მაკარტნი „Cant' Buy me love“ ასრულებს ანსამბლი „The Beatles“
- ჯ. ლენონი და პ. მაკარტნი „Cant' Buy me love“ - „მინუს“ ფონოგრამა
- ოთარ დიხამინჯია „ბულბულო ნაზო ხმატკბილო“ ასრულებს ანსამბლი „სათანაო“
- ოთარ დიხამინჯია „ბულბულო ნაზო ხმატკბილო“ - „მინუს“ ფონოგრამა
- რევაზ ლალიძე „მუხამბაზი თბილისს“ ასრულებს ზურაბ ანჯაფარიძე
- რევაზ ლალიძე „მუხამბაზი თბილისს“ - „მინუს“ ფონოგრამა
- Benny Andersson, Bjorn Ulvaeus „Heppy new year“ ასრულებს ანსამბლი „ABBA“
- Benny Andersson, Bjorn Ulvaeus „Heppy new year“ - „მინუს“ ფონოგრამა



1. ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი — რეკვიემი, „ლაკრიმოზა“
- 2 . ჯუზეპე ვერდი — ოპერა „ტრავიატა“, სუფრული, I მოქმედება, ჯ. საზერლენდისა და ლ. პავაროტის შესრულებით
3. იოპან სებასტიან ბახი — „იტალიური კონცერტი“, I ნაწილი
4. ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი — ოპერა „დონ-ჟუანი“, დონ-ჟუანის არია, II მოქმედება საფორტეპიანო ვერსია
5. ლეოპოლდ მოცარტი — „იუმორესკა“, საფორტეპიანო ვერსია
6. ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი — სავიოლინო კონცერტი, რე მაჟორი, I ნაწილი
7. ანტონინ დვორეჟაკი — კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისათვის, III ნაწილი
8. ოთარ თაქთაქიშვილი — ოპერა „მინდია“, მინდიას არია. ზ. ანჯაფარიძის შესრულებით
9. პეტრე ჩაიკოვსკი — სიმფონია №4, ფამინორი, IV ნაწილი
10. ფერენც ლისტი — უნგრული რაფსოდია №2
11. იანის ქსენაკისი — „Metastasies“
12. რიპარდ ვაგნერი — ოპერა „ტანჰოიზერი“, უვერტურა
13. რევაზ ლალიძე — „ინათებს მალე“. თამრიკო ჭოხონელიძის შესრულებით
14. რევაზ ლალიძე — „ინათებს მალე“ „მინუს“ ფონოგრამა
15. სოსო პავლიაშვილი — „სამშობლო“
16. სოსო პავლიაშვილი — „სამშობლო“ „მინუს“ ფონოგრამა
17. ბიზანტიური ინსტრუმენტული მუსიკა
18. შუა საუკუნეების ესპანური ინსტრუმენტული მუსიკა
19. სტინგი — „უდაბნოს ვარდი“. სტინგისა და ჩებ მამის შესრულებით
20. ბიონსე — „ავე მარია“
21. Non, Je ne regrette rien — ედიტ პიაფის შესრულებით
22. მერი დავითაშვილი — პოპური მულტფილმებიდან
23. ჯანსუდ კახიძე — „მრავალუამიერი“
24. მარკ ანტუან შარპანტიე — „სამეფო მარში“
25. ალფრედ შნიტკე — „სუიტა ძველ სტილში“, მენუეტი
26. იოპან სებასტიან ბახი — ტოკატა და ფუგა თანამედროვე ინტერპრეტაციით
27. ტომაზო ალბინონი — „adagio“
28. გია ყანჩელი — „ყვითელი ფოთლები“, საფორტეპიანო ვერსია
29. ნინო როტა — მუსიკა კინოფილმიდან „რომეო და ჯულიეტა“
30. ლევან მიზანდარი — „მოგონებები“ შერეული გუნდისა და სიმებიანი ორკესტრისათვის
31. ლევან მიზანდარი — „მოგონებები“ შერეული გუნდისა და სიმებიანი ორკესტრისათვის, კომპიუტერული ვერსია
32. ნუგზარ ვანაძე — „მოლოდინი“. მერაბ სეფაშვილისა და მაია ბარათაშვილის შესრულებით
33. ნუგზარ ვანაძე — „მოლოდინი“ „მინუს“ ფონოგრამა
34. Sammy Cahn, Jule Styne — „Let It Snow“. დინ მარტინის შესრულებით
35. Sammy Cahn, Jule Styne — „Let It Snow“ „მინუს“ ფონოგრამა
36. ფრედი მერკური — „We are the champions“. ანსამბლი „ქუინი“-ს შესრულებით
37. ფრედი მერკური — „We are the champions“ „მინუს“ ფონოგრამა
38. ნანა გველესიანი — „ცისკარი“ სალომე მოდებაძის შესრულებით
39. ნანა გველესიანი — „ცისკარი“ „მინუს“ ფონოგრამა

**მითითება:** დისკი III-ზე მოცემულია მუსიკალური მასალა VII-VIII-IX კლასის  
სახელმძღვანელოების რუბრიკებისათვის: „მოიძიე ინტერნეტში“ და „სიმღერები კლასის  
კონცერტისათვის“.

## შესავალი

VIII კლასის მუსიკის სახელმძღვანელო, თავისი სტრუქტურითა და შინაარსით, მრავალფეროვანი და კონტრასტულია. სახელმძღვანელოში მუსიკალური ხელოვნების მაღალმხატვრული ნიმუშებია შერჩეული, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკი, მათი ინტერესები, ფანტაზიები, სურვილები; წარმოდგენილია ქართული ხალხური მუსიკა; კლასიკური მუსიკის სხვადასხვა მიმდინარეობა: ბაროკო, კლასიციზმი, რომანტიზმი, ასევე, თანამედროვე ქართული და უცხოური საესტრადო სიმღერები. მოცემულია მრავალი რუბრიკა და სხვადასხვა აქტივობა: „ფურცლიდან კითხვა“, „გაიაზრე“, „გაიხსენე“, „მუსიკალური ლექსიკონი“, „შემოქმედებითი ტესტი“, „ბლიც ინფორმაცია“, „მოიძიე ინტერნეტში“ და სხვა. ეს რუბრიკები და აქტივობები ეხმარება მასწავლებელს უფრო აქტიურად ჩააბას ბავშვები სასწავლო პროცესში და გაზარდოს მათი ცოდნა და თვალსაწიერი. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს გემოვნებიანი და კულტურული მომავალი თაობის აღზრდას.

VIII კლასის მუსიკის სახელმძღვანელო მოიცავს მუსიკის ისტორიის განვითარების გზებს, ადრეული შუა საუკუნეებიდან ბაროკოს ეპოქის ჩათვლით.

ჩვენ შევისწავლით და ვისმენთ ბიზანტიურ მუსიკას, გრიგორისეულ საგალობელს, ქართულ საგალობელს. ვეცნობით ოპერის წარმოშობას და სხვადასხვა ქვეყნის საოპერო შემოქმედებას (იტალია, საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, საქართველო), ასევე ოპერეტისა და ბალეტის წარმოშობის ისტორიას და აშ. ვფიქრობთ, ეს სახელმძღვანელო მასწავლებლებს დაეხმარება უფრო სრულყოფილი და შემოქმედებითი გაკვეთილების ჩატარებაში.

სახელმძღვანელო აგებულია კონტრასტის პრინციპზე. ესა თუ ის თემა ინტეგრირებულია თავის მონათესავე ინფორმაციებთან. ამაში მასწავლებელს ეხმარება რუბრიკები, რომლებიც მრავლადაა მოცემული სახელმძღვანელოში.



## მითითებაზე და რეკომენდაციები გაკვეთილის ჩატარების ფორმებსა და სახეობზე

დაწყებით კლასებში (I-VI) მოცემულია გაკვეთილის ჩატარების კონკრეტული სქემა. გაკვეთილი დაყოფილია 5 ეტაპად:

- I მხიარული ნოტები
- II რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები
- III სიმღერის განმეორება
- IV ახალი სიმღერის შესწავლა
- V მუსიკალური განტვირთვა

თუ გავითვალისწინებთ მოსწავლეების ასაკა და მაღალ კლასებში შესასწავლი მასალის სირთულეს, შეგვიძლია სხვადასხვა სახის გაკვეთილები ჩავატაროთ. ამ ეტაპზე მასწავლებელს მოეთხოვება მეტი შემოქმედებითობა და იმპროვიზაცია. მას შეუძლია დაეყრდნოს დაწყებით კლასებში მოცემულ გაკვეთილის ფორმას, მაგრამ, მაღალი კლასების განსხვავებული სპეციფიკიდან გამომდინარე, დაარღვიოს ეს სქემა და შეიტანოს ახალი ნიუანსები: გაკვეთილზე მეტი ყურადღება დაეთმოს მუსიკის მოსმენასა და განტვირთვას (ავტორელაქსაცია), სიმღერის შესწავლას, შემოქმედებით ტესტებს. ელემენტარული თეორიის საკითხებს დაეთმოს 5-10 წუთი და მას ინფორმაციული ხასიათი ჰქონდეს: „სოლფეჯიოს გაკვეთილები“, „ფურცლიდან კითხვა“, „კვარტა-კვინტური წრე“, „გამების გამღერება“ და სხვ. ასე ბავშვებს საერთო წარმოდგენა შეექმნებათ ამ საკითხებზე.

მუსიკის გაკვეთილები, ზოგადად, ემსახურება განათლებული და კულტურული მსმენელის აღზრდას. ამიტომ გაკვეთილზე უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მუსიკის მოსმენასა და ინფორმაციას. კერძოდ, გაკვეთილზე თემატურ მასალას ვეცნობით, ვკითხულობთ და ვმსჯელობთ, ბავშვები გამოხატავენ თავიანთ აზრსა და დამოკიდებულებას. ამის შემდეგ, თითქმის ყველა გაკვეთილის ბოლოს, ვისმენთ მუსიკას შესაბამისი აქტივობების შესრულებით.

შეგვიძლია გაკვეთილი დავიწყოთ შესწავლილი სიმღერის გამეორებით ან თეორიული მასალის გახსენებით (კითხვების დასმით). მუსიკის გაკვეთილებზე მასწავლებელს შეუძლია I-VI კლასებში შესწავლილი აქტივობების გამოყენება: „დასარტყამ საკრავთა ორკესტრი“, „მუსიკალური კარნაზი“. VII-IX კლასების რუბრიკაში „ფურცლიდან კითხვა“ მრავლადაა სხვადასხვა ინტონაციური სავარჯიშო. მასწავლებელს შეუძლია აირჩიოს ყველაზე ადვილი და მარტივი, გაახსენოს ბავშვებს ეს აქტივობა და კლასში შეასრულებინოს (იხ. V-VI კლასის მასწავლებლის წიგნში სცენარი – მუსიკალური კარნაზი 1-2). აქვე გაიხსენებენ 2/4, 3/4 და 4/4 ზომებს და დირიჟორობას. აგრეთვე, გაკვეთილის 5-10 წუთი დაეთმოს „მუსიკალურ ვიქტორინას“ – მუსიკის მოსმენასა და გამოცნობას, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცოდნის გამორებასა და განმტკიცებას. რაც შეეხება „შემოქმედებით ტესტებს“ – ამ გაკვეთილებზე ბავშვები ჯერ კითხულობენ ლექსს, შემდეგ მასწავლებელი ასმენინებს მათ მუსიკას, რომლის ფონზეც ბავშვებმა უნდა წაიკითხონ ლექსი. მხოლოდ ამის შემდეგ იწყება ამ აქტივობის შესრულება.

სასურველია არ დავტვირთოთ ბავშვები სხვადასხვა სახის საშინაო დავალებებით (ტექსტის შესწავლა-ჩაბარება, გამების გამღერება და მათი დიეზისა და ბემოლების დამახსოვრება). შევეცადოთ, რაც შეიძლება შევუმსუბუქოთ ბავშვებს გაკვეთილებზე მოცემული მასალის შესწავლა, მივაწოდოთ ინფორმაცია მსუბუქად და საინტერესოდ, რათა უფრო მეტად შევაყვაროთ ეს საგანი. ამის გამო, VII-IX კლასებში ზოგიერთი გაკვეთილის („კლასგარეშე“) შესწავლა არ არის სავალდებულო, თუმცა საგანი საათობრივი ბადიდან არ არის ამოღებული, რადგან ამ გაკვეთილებზე ბავშვები ისმენენ მუსიკას.

ზოგიერთი სიმღერა გამოირჩევა დიდი დიაპაზონით (მაგ. „ამაპოლა“), ასეთი სიმღერები განკუთვნილია სოლო შესრულებისთვის.

## შუა საუკუნეების მუსიკა

**მიზანი:** შემოქმედებით პროცესში აქტიური ჩართვა. მოსმენილი მუსიკალური მასალის ყოველდღიურობასთან დაკავშირება. ხელოვნების სხვადასხვა დარგებისა და მუსიკალური ჟანრების ურთიერთდაკავშირება-შედარება. მუსიკის მოსმენისას საკუთარი განწყობისა და დამოკიდებულების გადმოცემა — ხატვა, პლასტიკა.

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, აუდიო დისკი

**ხანგრძლივობა:** 7 აკად. სთ.

ამ თემას ეთმობა 7 აკადემიური საათი: შესავალი, ბიზანტიური მუსიკა, გრიგორისეული საგალობელი, შუა საუკუნეების საკრავები, სანოტო დამწერლობა, შუა საუკუნეების საერო მუსიკა. ამ თემაზე მუშაობისას შევეცადეთ ბავშვებისთვის მარტივად და გასაგებად მოგვეთხრო ადრეული მუსიკის შუა საუკუნეების ათასწლოვანი ისტორიის შესახებ. მოსასმენად შევარჩიეთ შესაბამისი მუსიკალური მასალა, ხოლო რუბრიკაში „ფურცლიდან კითხვა“ ბავშვები გაიმღერებენ ამ პერიოდის მუსიკის ინტონაციურ სავარჯიშოებს.

VII კლასში გავეცანით მუსიკის წარმოშობის საკითხებს, უძველესი ცივილიზაციების ქვეყნების მუსიკალურ კულტურას. VIII კლასში ვაგრძელებთ მუსიკის ისტორიის განვითარების გზების შესწავლას და ვეცნობით ადრეული მუსიკის ვრცელ ხანას — შუა საუკუნეების, ალორძინებისა და ბაროკოს ეპოქის მუსიკას. ვფიქრობთ მუსიკის ისტორიის შესწავლის ასეთი ფორმა გაუადვილებს ბავშვებს ადვილად შეიმეცნონ და გაიაზრონ მოცემული მასალა.

## შემოქმედებითი ტესტები

**მიზანი:** მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოებების ყოველდღიურობასთან დაკავშირება, შემოქმედებით პროცესში აქტიური ჩართვა. ხელოვნების სხვადასხვა დარგებისა და მუსიკალური ჟანრების ურთიერთდაკავშირება-შედარება.

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, აუდიო დისკი

**ხანგრძლივობა:** 3 აკად. სთ.

  
ამ გაკვეთილებისთვის შევარჩიეთ რ. ვაგნერის, პ. ჩაიკოვსკის, ე. გრიგის, ფ. შოპენის ნაწარმოებები.

მათ ფონზე ბავშვები კითხულობენ გალაკტიონის, შოთა რუსთაველის, ადამ მიცკევიჩის პოეტურ ქმნილებებს და ეჯიბრებიან ერთმანეთს — ვინ უფრო კარგად და არტისტულად შეასრულებს ამ დავალებას. ეს მრავალმხრივი აქტივობა ეხმარება ბავშვებს განუვითაროს სხვადასხვა უნარები: იმპროვიზაციულობა, არტისტიზმი, შემოქმედებითი ნიჭი, მეტყველება, მეხსიერება, მუსიკალობა, რიტმი და მშვენიერების აღქმის უნარი. სტანდარტის შესაბამისად, ბავშვებმა თავადაც უნდა აარჩიონ ლექსიცა და მუსიკაც ან საყვარელ ლექსზე შექმნან მელოდია. ამ გაკვეთილებზე ხდება მუსიკისა და პოეზიის სინთეზი. აგრეთვე, შეუძლიათ მუსიკა და მხატვრობა დააკავშირონ ერთმანეთთან. მაგალითად, ვან გოგის ან სხვათა ფერწერულ ტილოებს შეურჩიონ მუსიკა, მოაწყონ პრეზენტაცია კლასში.

## ბ ა რ თ კ ო

**მიზანი:** მარტო და სხვებთან ერთად სიმღერის, შემოქმედებით პროცესში აქტიური მონაწილეობის, ახალი ტერმინების სწორად გააზრება-გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება. ბაროკოს ეპოქის მუსიკალური კულტურისა და საკრავების გაცნობა, მუსიკის მოსმენით მიღებული შთაბეჭდილებების გადმოცემა (ხატვა, პლასტიკა, ლიტერატურული ჩანახატი), მუსიკალური ნაწარმოებების შესრულების სხვადასხვა ფორმის გაცნობა და მათი პრაქტიკული გამოყენება (სოლო, ანსამბლი, გუნდი), მუსიკის გამომსახული საშუალებების შესწავლა (რიტმი, მელოდია, დინამიკა, ტემპი, ტემპრი). ბაროკოს ეპოქის ნაწარმოებების შედარება მათ თანამედროვე ინტერპრეტაციებთან.

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, აუდიო დისკი

**ხანგრძლივობა:** 6 აკად. სთ.

### ა. ვივალდი, გ.ფ. ჰენდელი, ი.ს. ბახი



სიმღერების შესწავლის, სხვადასხვა რუბრიკებისა და აქტივობების გარდა, სახელმძღვანელოში ძირითადი ადგილი ეთმობა სხვადასხვა ეპოქისა და მიმართულების კომპოზიტორთა ბიოგრაფიებსა და შემოქმედებას. VIII კლასში ვეცნობით ბაროკოს ეპოქის მუსიკას და ამ პერიოდის გამოჩენილი კომპოზიტორების შემოქმედებას. მნიშვნელოვანი დრო ეთმობა მათი სხვადასხვა უანრის ნაწარმოებების მოსმენას და მათ შედარებას ერთმანეთთან.

**ბაროკოს** თემას 6 გაკვეთილი ეთმობა. ანტონიო ვივალდის, გეორგ ა. ვივალდი 1678-1741 წ.წ. ფრიდრიხ ჰენდელის და იოპან სებასტიან ბახის ბიოგრაფიას და შემოქმედებას ვეცნობით. მასწავლებელს შეუძლია, ბავშვებს დავალოს, დამატებით მოიძიონ მასალა და გაეცნონ ამ სამი გენიალური კომპოზიტორის ცხოვრებისა და შემოქმედების გზას, შემდეგ კლასში ერთად იმსჯელონ, მოუსმინონ მუსიკას, გამოთქვან თავიანთი აზრი და შთაბეჭდილება წერით ან ნახატით გადმოსცენ. ზოგიერთ გაკვეთილზე მოცემულია რუბრიკა „შემოქმედებითი ტესტი“ — ამ დროს მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, მოუსმინონ მუსიკას და გრაფიკულად მისდიონ მელოდიური ხაზის განვითარებას. ეს დავალება სრულდება ფურცელზე, ფანქრით გრაფიკული ხაზის გავლებით. მივიღებთ აბსტრაქტულ ნახატს. ეს ერთგვარი არტთერაპია ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითგანტვირთვას და დადებითი ემოციების გამოვლენას. მოსწავლეებს შეუძლიათ — გრაფიკული ნამუშევარი გააფერადონ, ჩასვან ჩარჩოში და მოაწყონ კლასის გამოფენა სხვა დროს შესრულებულ ნამუშევრებთან ერთად.

სასურველია, მასწავლებელი დამატებით ესაუბროს მოსწავლეებს მრავალხმიანობის სხვადასხვა სახეზე — ჰომოფონიასა და პოლიფონიაზე, კანონზე, სეკვენციებზე, რაშიც მასწავლებელს ეხმარება მოსწავლის წიგნში რუბრიკაში — „ფურცლიდან კითხვა“ — მოცემული ინტონაციური სავარჯიშოები და ზოგიერთი ნაწარმოების სანოტო დანართი.

გაკვეთილის ბოლოს, ისმენენ ბაროკოს ეპოქის კომპოზიტორთა ნაწარმოებებს. ესენია: ა.ვივალდის „წელიწადის დრონი“, გ.ფ. ჰენდელის „ალილუია“ და „მუსიკა სამეფო ფეიერვერკისთვის“, ი.ს. ბახის პრელუდია და ფუგა №2 (კ.ტ.კ. I ტომი), „ტოკატა და ფუგა“ — d-moll — რე მინორი. ისმენენ ამ ნაწარმოების თანამედროვე ინტერპრეტაციასაც. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეადარონ ეს ორი ვარიანტი ერთმანეთს. ზოგიერთ შემთხვევაში, მოსმენისას, ბავშვები თვალს ადევნებენ მოსწავლის წიგნში მოცემულ სანოტო ჩანაწერებს.




გ.ფ. ჰენდელი 1685-1759 წ.წ.



მასწავლებელი ასევე სთხოვს მათ, მიაქციონ ყურადღება საკრავთა უღერადობას. შემდეგ მსჯელობენ, თუ რომელ მუსიკალურ მიმართულებაში რა ჟანრები განვითარდა, რომელი საკრავები იყო პრიორიტეტული. ასე მაგალითად: ბაროკოს ეპოქაში განვითარდა ინსტრუმენტული მუსიკა, გავრცელებული საკრავები იყო ორგანი, კლავესინი, ვიოლინო, ვიოლა და ა.შ.

ი.ს. ბახი 1685-1750 წ.წ.

ი.ს. ბახი ტოკატა და ფუგა, რე-მინორის მოსმენისას შესრულებული შემოქმედებითი ტესტის ნიმუში.



## დამატებითი ინფორმაციისათვის

### ანტონიო კიობლერი

ბაროკოს ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი კომპოზიტორი, ვირტუოზი მევიოლინე და პედაგოგი ცხოვრებაში საყოველთაო დიდებით იყო მოსილი და უდიდესი გავლენა მოახდინა თავის თანამედროვეებზე, მათ შორის ი. ს. ბახზე. მაგრამ სიკვდილის შემდეგ იგი თითქმის ორი საუკუნით მიივიწყეს. XIX ს.-ში მას იცნობდნენ, როგორც მხოლოდ სავიოლინო კონცერტების ავტორს. ვივალდის კვლავ აღიარება კი XX ს.-ის 30-იანი წლებიდან დაიწყო, როცა იტალიელმა მუსიკისმცოდნე ალბერტო ჯენტილემ მისი უცნობი ხელნაწერები აღმოაჩინა, მათ შორის უამრავი ინსტრუმენტული და ვიკალური ნაწარმოები.

1939 წლის სექტემბერში იტალიის ქალაქ სიენაში ჩატარდა „ვივალდის კვირეული“, სადაც 200 წლის მერე ისევ აჟღერდა საფრანგეთის მეფე ლუდოვიკ XV-ის ქორწინებასთან დაკავშირებით შექმნილი „Gloria“ (1725). ვივალდის „Gloria“ — D-dur — სოლისტების, გუნდისა და ორკესტრისთვის 12 ნაწილისგან შედგება. მას საფუძვლად უდევს კათოლიკური მესის ტექსტის ფრაგმენტი.

გასაოცარია ვივალდის მემკვიდრეობა: 450 ინსტრუმენტული კონცერტი სხვადასხვა საკრავისთვის, 40 კონცერტო-გროსოსო, სონატები, სიმფონიები, ოპერები, კონცერტები, ორატორიები. ვივალდის შემოქმედება ბაროკოს მუსიკალური ესთეტიკის თავისებური ენციკლოპედია. ეს არის ეპოქა, რომელიც რენესანსული ჰარმონიისგან განსხვავებით, შინაგანი წინააღმდეგობებით იყო აღსავსე. აქედან მომდინარეობს ბაროკოს ხელოვნების არაჩვეულებრივი დინამიზმი და ექსპრესია.



**კონცერტი** (ლათ. *concertare* შეჯიბრი, იტალ. *concerto* ჰარმონია, შეთანხმება) — ინსტრუმენტული მუსიკის ერთ-ერთი პოპულარული ჟანრი.

კონცერტი ვირტუოზული ხასიათის ნაწარმოებია სოლო (იშვიათად 2—3) საკრავისთვის ორკესტრის თანხლებით. იგი კონტრასტის პრინციპითაა აგებული. აქ სოლისტის ხელოვნება თითქოსდა უპირისპირდება ფერადოვანსა და მდიდარ საორკესტრო უღერადობას. პირველი კონცერტები შეიქმნა XVII საუკუნეში. ბაროკოს ეპოქაში ჩამოყალიბებული 3 - ნაწილიანი ფორმა (ჩქარი, ნელი და ჩქარი) და საორკესტრო ტუტტისა და სოლოს მონაცვლეობა. ეს უანრი გვხვდება ვენის კლასიკოსებისა და რომანტიკოსების შემოქმედებაშიც. კლასიკური ტიპის კონცერტები შექმნეს მოცარტმა, ბეთჰოვენმა. ეს ფორმა დღემდე სიცოცხლისუნარიანია. I ნაწილი — სონატური ალეგრო, II — ნელი ნაწილი, III — ჩქარი ფინალი.

**კადენცია** (იტალ. *cadenza* ვამთავრებ) — ინსტრუმენტულ კონცერტებში გვხვდება ვირტუოზული პასაჟი ან განვითარებული სოლო იმპროვიზაცია. XVIII საუკუნემდე მას ნოტებში არ აღნიშნავდნენ, ჩადგმული ეპიზოდი იყო, სადაც შემსრულებელი თავის ტექნიკურ ოსტატობასა და იმპროვიზაციულ ნიჭს ავლენდა. 1809 წელს, ბეთჰოვენმა პირველად ჩაწერა თავის V საფორტეპიანო კონცერტში კადენცია და ეს ტრადიცია დღემდე გრძელდება.


## ჰომოფონია და ჰოლიფონია

ბაროკო, ეს არის ახალი ეპოქა მუსიკალურ ხელოვნებაში, როცა ხდება პოლიფონიური და ჰომოფონიურ-ჰარმონიული სტილის შერწყმა.

**ჰომოფონია** ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „ერთხმიანობას“ („homo“ — ერთი, „phone“ — ხმა, ბგერა), იგულისხმება, რომ ერთი ხმა არის მთავარი, წამყვანი, მას მიჰყავს მელოდია, დანარჩენი ხმები კი თანხლებას უწევს. (იხ. მენუეტები — გვ. 23-24). **ჰოლიფონიაც** ბერძნული სიტყვაა ( „poly“ — მრავალი, „phone“ — ხმა, ბგერა), მრავალხმიანობის სახე, რომელშიც ერთდროულადაა შერწყმული ორი ან მეტი დამოუკიდებელი მელოდია, ანუ ნაწარმოებში ყველა ხმას თავისი დამოუკიდებელი მელოდიური ხაზი მიჰყავს.

ბახი ამბობდა: ეს არის სხვადასხვა, ინდივიდუალური ხმების დიალოგი. თუ რომელიმე ხმას სათქმელი არ აქვს, ის ცოტა ხნით ჩუმდება, ანუ პაუზას იღებს, და შემდეგ კვლავ ერთვება საუბარში.

## ბახის ინვენცია



ჰოლიფონიური მუსიკის ფორმებია: კანონი, ინვენცია, ხოლო უმაღლესი ფორმაა ფუგა. სიტყვა **ფუგა** ნიშნავს „სირბილს“ — ხმები თითქოს მისდევენ ერთმანეთს და ბოლოს თანხმობას აღწევენ. **ინვენცია კი** — „გამოგონებას“ ნიშნავს.

ამერიკელი კომპოზიტორი ლეონ ბერნსტაინი ამბობდა — „ბახმა გრანდიოზული კროს-ვორდის მსგავსი რამ შექმნა, სადაც ჰორიზონტალური და ვერტიკალური „სიტყვები“ ურთიერთ დაკავშირებული არიან, ყველაფერი ერთმანეთს მიესადაგება და ყველა პასუხი სწორია“. სასურველია, მასნავლებელმა გაკვეთილზე მოსწავლეებს გააცნოს და დაუკრას ბახის რომელიმე ინვენცია ან ფუგა (მაგ. მოცეკვული ნიმუში — ბახის ორხმიანი ინვენცია რემინირი). ბახის ფუგის და ინვენციის მოსმენისას თვალყური ადევნეთ თემების გატარებას სხვადასხვა ხმებში.

ჰოლიფონიური მუსიკის შექმნას გარკვეული კანონების ცოდნა სჭირდება. იგი საინტერესო მათემატიკურ თავსატეხსაც მოგვაგონებეს. ძველად ჰოლიფონიას კონტრაპუნქტს უწოდებდნენ, რაც ნიშნავს — „ნერტილი ნერტილის ნინაალმდეგ“, ან — „ნოტი ნოტის ნინაალმდეგ“, ერთი მელიოდიური ხაზის ნოტების შეერთება მეორე მელოდიური ხაზის ნოტებთან. კონტრაპუნქტის ზუსტი ნესების დაცვით იქმნება ცნობილი ჰოლიფონიური ნაწარმოებები — კანონები (კანონი — ბერძნულად „ნესი“). სიმღერას იწყებს პირველი ხმა და რამდენიმე ტაქტის შემდეგ ზუსტად იგივეს იმღერებს მეორე ხმა. ერთ-ერთი ასეთი ცნობილი კანონი, ლეგენდის თანახმად, ხუმრობით შექმნა ფრანგმა ბერმა.

პოლიფონიაში ხშირად იყენებენ იმიტაციის პრინციპს (imitation — ლათ. „მიბაძვა“). მუსიკაში ეს არის ხერხი როცა ერთ ხმაში გაჟღერებული მელოდიის დამთავრებისას, სხვა ხმა იგივე ქველოდიას ზუსტად ან მცირე ცვლილებებით იმეორებს ხვა ბერიდან. ამგვარადვე განაგრძობენ განვითარებას სხვა ხმებიც. პოლიფონიურ მუსიკაში იმიტაცია შეიძლება მცირე ხნით გაჩნდეს, პოლიფონიურში კი ეს განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ხერხია.

## პანონ

(ფრანგული სახუმარო სიმღერა)

პანონ

(ფრანგული სახუმარო სიმღერა)

მმა ი - ა - ბობ  
მმა ი - ა - ბობ  
გებ - მას შენ  
გებ - მას შენ,  
გებ - გებ დაპ - გრა ზარ - მა  
გებ - გებ დაპ - გრა ზარ - მა  
ბობ ბამ ბომ  
უპ - გებ დაპ - გრა ზარ - მა  
ბობ ბამ ბომ  
ბობ ბამ ბომ.

# ፩፻፭፻፭

፩፻፭፻፭

0.፭.፭.፭.፭

The sheet music consists of four staves of musical notation for a piano. The top staff is in treble clef, and the bottom staff is in bass clef. Both staves are in 3/4 time. The music is divided into measures by vertical bar lines. Fingerings (numbers 1 through 5) are indicated above the notes, and dynamics (p, mf) are shown below the notes. Measure 1: Treble staff has a note at 1, a sixteenth-note group at 2, a note at 3, a note at 4, and a sixteenth-note group at 5. Bass staff has a note at 1, a note at 2, a note at 3, a note at 4, and a note at 5. Measure 2: Treble staff has a sixteenth-note group at 1, a sixteenth-note group at 2, a sixteenth-note group at 3, a sixteenth-note group at 4, and a note at 5. Bass staff has a note at 1, a note at 2, a note at 3, a note at 4, and a note at 5. Measure 3: Treble staff has a sixteenth-note group at 1, a sixteenth-note group at 2, a sixteenth-note group at 3, a sixteenth-note group at 4, and a note at 5. Bass staff has a note at 1, a note at 2, a note at 3, a note at 4, and a note at 5. Measure 4: Treble staff has a note at 1, a note at 2, a note at 3, a note at 4, and a note at 5. Bass staff has a note at 1, a note at 2, a note at 3, a note at 4, and a note at 5. Measure 5: Treble staff has a sixteenth-note group at 1, a sixteenth-note group at 2, a sixteenth-note group at 3, a sixteenth-note group at 4, and a note at 5. Bass staff has a note at 1, a note at 2, a note at 3, a note at 4, and a note at 5. Measure 6: Treble staff has a sixteenth-note group at 1, a sixteenth-note group at 2, a sixteenth-note group at 3, a sixteenth-note group at 4, and a note at 5. Bass staff has a note at 1, a note at 2, a note at 3, a note at 4, and a note at 5. Measure 7: Treble staff has a sixteenth-note group at 1, a sixteenth-note group at 2, a sixteenth-note group at 3, a sixteenth-note group at 4, and a note at 5. Bass staff has a note at 1, a note at 2, a note at 3, a note at 4, and a note at 5. Measure 8: Treble staff has a sixteenth-note group at 1, a sixteenth-note group at 2, a sixteenth-note group at 3, a sixteenth-note group at 4, and a note at 5. Bass staff has a note at 1, a note at 2, a note at 3, a note at 4, and a note at 5.

# ବୀରପାତ୍ର

ଶିଳ୍ପିକାରୀ

ମୁଦ୍ରାକାରୀ

# ალფრედ შნიტკე



ალფრედ შნიტკე 1934-1998

ალფრედ შნიტკე თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი რუსი კომპოზიტორია. მისი შემოქმედება წარსულისა და თანამედროვეობის ერთიანობის განცდითაა აღბეჭდილი. მას აღელვებს თანამედროვე ხელოვნების ბედი და ადამიანის თანამედროვე სამყარო, მშვიდობის, რწმენისა და სკეპტიციზმის, სიცოცხლისა და სიკვდილის მარადიული თემები.

შნიტკეს მუსიკაში კლასიკური ტრადიციები და თანამედროვე საკომპოზიტორო ტექნიკის მრავალფეროვანი ელემენტებია შერწყმული. მის შემოქმედებაში წამყვანი ადგილი სიმფონიურ და კამერულ ჟანრს უკავია. შექმნილი აქვს 9 სიმფონია, 4 სავიოლინო კონცერტი, კონცერტი ჰობოისა და არფისთვის, ასევე, —

საფორტეპიანო, ალტის, სავიოლონჩელო კონცერტები, 3 Concerti grossi, ასევე, ბალეტები („ლაბირინტი“, „პერ გიუნტი“), ვოკალური და საგუნდო ნაწარმოებები, კინო-მუსიკა („აგონია“, „ალმასვლა“, „პატარა ტრაგედიები“...)

ალფრედ შნიტკე პირველი საბჭოთა მუსიკოსია, ვის I სიმფონიაშიც კლასიკური მუსიკა, ავანგარდული, ძველებური მუსიკა, საყოფაცხოვრებო ვალსები, პოლკა, მარში, გიტარის ჰანგები და ჯაზი ერთად იქნა გაუღერებული.

კომპოზიტორმა არაერთ ნაწარმოებში გამოიყენა პოლისტილისტიკისა და კოლაჟის მეთოდები, ასევე, „ინსტრუმენტული თეატრის“ (მუსიკოსთა მოძრაობა სცენაზე) ხერხები.

80-იან წლებში, შნიტკე მიმართავს ე.ნ. „რეტროს“— ლირიკულის და მელოდიურის სინთეზს. ერთ-ერთ თავის ნაწარმოებში — კანტატა „დოქტორ იოპან ფაუსტის ისტორია“—ს კულმინაციურ ეპიზოდში მან ტანგო შეიტანა.

შნიტკეს კონჩერტო გროსო — 2 ვიოლინოს, ფორტეპიანოს, კლავესინისა და ორკესტრისთვის — თანამედროვე კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია. რომელშიც კომპოზიტორმა ძველებურ მუსიკალურ ფორმას მიმართა და შექმნა კონტრასტებით აღსავსე, საინტერესო ტემბრული შეფერილობისა და მრავალფეროვანი ემოციური სახეები. ვიოლინოსა და მთელი ორკესტრის ეს დინამიური, მოქნილი და ვირტუოზული დიალოგი ექვს ნაწილს მოიცავს.



**პარტიტურა** (იტალ. partitura — გაყოფა, განაწილება) მრავალხმიანი კოლექტიური შესრულებისთვის გათვალისწინებული მუსიკალური ნაწარმოების სანოტო ჩანაწერი, რომელშიც გაერთიანებულია თითოეული შემსრულებლის (მომღერლისა თუ საკრავის) ნოტები — პარტია. ეს პარტიები პარტიტურაში გარკვეული წესით — ვერტიკალურად, ერთმანეთზეა განლაგებული ზევიდან ქვევით. საგუნდო პარტიტურაში ჯერ ქალის და შემდეგ მამაკაცის პარტიები, ორკესტრის პარტიტურაში კი თავისი ხაზი აქვს საკრავთა თითოეულ ჯგუფს. ზედა ხაზზე — ხის ჩასაბერები, მომდევნო ქვედა ხაზზე — ლითონის ჩასაბერები, უფრო ქვევით დასარტყამები, ბოლოს — სიმებიან-ხემიანები. თუ ნაწარმოებში გამოყენებულია ორგანი, ფორტეპიანო ან არფა — მათი პარტია სიმებიანთა ზევით თავს-დება, ასევე, სიმებიანთა ზევით თავს-დება ვოკალური პარტიები.

**პოლისტილისტიკა** — ერთ ნაწარმოებში განსხვავებული სტილების გაერთიანება. ტერმინი „პოლისტილისტიკა“ დაამკვიდრა ა. შნიტკემ 1971 წლიდან. შნიტკემდე ამ ხერხს იყენებდნენ კომპოზიტორები: ჩ. აივზი, ა. ბერგი, დ. შოსტაკოვიჩი და სხვა.

**სტილი** მომდინარეობს ლათინური stylus-დან, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „წერისთვის წაწვეტებულ ჩხირს“. ამ სიტყვით მუსიკაში აღნიშნავენ მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში გარკვეულ პერიოდებს და ეტაპებს.

**ორატორია** (ლათ. oratorio მჭერმეტყველური, ორატორული მეტყველება) — XVII-XVIII ს. ს. ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოები სოლისტი მომღერლების, გუნდისა და ორკესტრისთვის. ორატორიაში გვხვდება არიები, რეჩიტატივები, საანსამბლო, საგუნდო და საორკესტრო ეპიზოდები. ორატორიები ინერება დრამატულ სიუჟეტებზე და სრულდება საკონცერტო დარბაზებში. კანტატასთან შედარე-ბით უფრო განვითარებული სიუჟეტი აქვს და უფრო მასშტაბურია. ბევრი რამ შეითვისა ოპერისგან. ორატორიასთან ახლოსაა მესა, რეკვიემი, პასიონი.

## მსოფლიო ხაცხათ ცუკვები

ცეკვა ხელოვნების ის სახეა, რომელშიც შინაარსი, ამბავი, გარემოსგან მიღებული შთა-ბეჭდილებები, განწყობილება — ადამიანის სხეულის მოძრაობის შეცვლით წარმოიქმნება და გადმოიცემა. ალბათ გახსოვთ, რომ ცეკვები უძველესი წეს-ჩვეულებების, თამაშების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი იყო. უძველესი ადამიანები ნადირობის ან მოსავლის აღების დროს ღმერთებს თხოვდნენ დახმარებას და ამ თხოვნას ცეკვის მთელი რიტუალი სდევდა თან. ასეთი ცეკვების მოძრაობა ბაძავდა შრომით მოძრაობებს, გაითამაშებდნენ ხოლმე ნადირობისა და მოსავლის აღების მთელ „სცენებს“. ძველ საბერძნეთშიც, დიონი-სესადმი მიძღვნილი დღესასწაულები გამორჩეული იყო ცეკვებით, სიმღერებით, საცეკვაო თამაშობებით...

უძველესი და საწესჩვეულებო ცეკვებიდან წარმოიშვა და განვითარდა სხვადასხვა ქვეყნის ხალხური ცეკვები, რომლებიც დროის მხიარულად გატარებისა და გართობის სა-შუალება იყო. ხალხურმა ცეკვამ რიტუალური და საწესჩვეულებო მნიშვნელობა დაკარგა, თუმცა ძველი ცეკვების ერთი ნაკვალევი მასში მაინც შემორჩა — ეს არის წრეში მოძრაობა. ოდესაც, უძველეს წარსულში, ასეთ მოძრაობას მაგიური, რიტუალური ჩანაფიქრი ჰქონ-და. წრე მზის სიმბოლოა. ნელი წრიული მოძრაობების საერთო სახელწოდებაა ფერხული... ასეთი ცეკვები მთელი მსოფლიოს ხალხებს აქვთ შემორჩენილი. ესენია: ქართული ხორუ-მი და ფერხული, უკრაინული და პოლონური კოროვოდი, რუსული და ჩეხური ხოროვოდი, სერბულ-ხორვატული კოლო, მოლდავური ხორა, აზერბაიჯანული ხალაი, ფრანგული რონ-დო, გერმანული რაიგენი და სხვა. ფერხულებს ხშირად თან სდევდა სიმღერებიც.

ყველა ერის ხალხს თავისი განსხვავებული და განუმეორებელი ცეკვები აქვს და ეს ცეკვები მათ ხასიათსა და ტემპერამენტს არაჩვეულებრივად გამოხატავს. საიდან გაჩნდა ასეთი მრავალფეროვანი ცეკვები? ხალხის ხასიათიდან, მათი ცხოვრებისა და საქმიანო-ბის წესიდან. ერთი და იმავე ქვეყნის სხვადასხვა კუთხებიც კი სრულიად განსხვავებული ცეკვები გვხვდება. ზოგიერთი ცეკვა თავბრუდამხვევი და ენერგიულია, ზოგი — ნელი და მშვიდი, ზოგიც მსუბუქი და ხალისიანი. თითოეულ ცეკვას თავისი განუმეორებელი ხასი-ათი, ტემპი, რიტმი, მოძრაობა აქვს. ძალზე მნიშვნელოვანია ჩაცმულობა, კოსტუმები — ის ცეკვის ხასიათს უნდა ერგებოდეს. მოგვიანებით, სამეჯლისო და კლასიკური ცეკვები შეიქმნა, XX საუკუნეში კი „ცეკვა-მოდერნი“ და უამრავი ახალი ცეკვა. საცეკვაო რიტმებმა დიდი გავლენა მოახდინა კლასიკური მუსიკის განვითარებაზე და მის სხვადასხვა უან-რი სუიტა სწორედ კონტრასტული ცეკვების ნაკრებს წარმოადგენდა. საცეკვაო რიტმებს დიდი ადგილი უკავია მსუბუქ მუსიკასა და ჯაზშიც...

## სამაჯლისო ცეკვები

შუა საუკუნეებში ხალხური ცეკვებიდან ახალი სამეჯლისო ცეკვები წარმოიშვა. ბევრმა მათგანმა შეინარჩუნა კიდეც ხალხური ცეკვის სახელი: მენუეტი, ვალსი, მაზურკა, სარაბანდა...

პირველად სამეჯლისო ცეკვები XV საუკუნის იტალიაში გაჩნდა, XVII საუკუნიდან მთელ ევროპაში, საქართველოში კი XIX საუკუნის II ნახევრიდან გავრცელდა (შეიძლება „ქეთო და კოტეს“ მაგალითის მოყვანა, სადაც ევროპული ცეკვებია გამოყენებული).

როგორც უკვე ვიცით, ხალხური ცეკვა ყველა ერსა და ქვეყანას თვითმყოფადი, განსხვავებული ჰქონდა, ერთი და იგივე სამეჯლისო ცეკვები კი მთელს ევროპაში იყო ცნობილი და გავრცელებული. ხალხური ცეკვები არ ჩაინტერებოდა და ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას, სამეჯლისო ცეკვებს კი კარის მუსიკოსები ქმნიდნენ. თავდაპირველად, სპეციალურად ამუშავებდნენ ხალხურ ცეკვებს, არისტოკრატულ ყოფას უსადაგებდნენ, მოგვიანებით კი თავად დაიწყეს სამეჯლისო ცეკვების მოძრაობებისა და მელოდიების შეთხზვა და ჩაწერა. მეჯლისებს თავისი ეტიკეტი ჰქონდა. **ეტიკეტი** საზოგადოებაში მოქცევის წესია. მეჯლისის ეტიკეტიც ცეკვების გარკვეულ თანმიმდევრობას მოითხოვდა. მათ რიგითობას სპეციალურ რვეულებში იწერდნენ. როგორც წესი, მეჯლისზე ტემპითა და ხასიათით განსხვავებული რამდენიმე ცეკვა უნდა შესრულებულიყო. თავდაპირველად, ეს იყო ორი ცეკვა — ნელი საფერხულო **პავანა** და ჩქარი ცოცხალი **გილიარდი**. ასე შეიქმნა პირველი საცეკვაო სუიტები. **სუიტა** ფრანგული სიტყვაა და რიგს, თანმიმდევრობას ნიშნავს. ძველად, ისევე, როგორც ახლა, სხვადასხვა დროს სხვადასხვა ცეკვა იყო მიღებული. პავანა და გილიარდი მოდაში თითქმის 100 წელი იყო, შემდეგ მეჯლისებზე ისინი სხვა ცეკვებმა შეცვალა, თუმცა უცვლელი დარჩა ნელი და ჩქარი ცეკვების რიგითობის, მონაცვლეობის წესი. XVII საუკუნიდან საცეკვაო სუიტაში გაერთიანდა ოთხი ცეკვა — ზომიერი ალემანდა და ცოცხალი კურანტა, ნელი ცეკვა — სვლა სარაბანდა და სწრაფი უიგა. ჩვენ არ ვიცით, პირველად ვინ შექმნა 2-ნანილიანი საცეკვაო სუიტა, თუმცა ცნობილია 4-ნანილიანი სუიტის ავტორი. ეს არის გერმანელი კომპოზიტორი **იოჰან იაკობ ფრობერგერი**. ასეთივე სუიტები შექმნეს XVII–XVIII ს.ს.-ებში ბახმა, ჰენდელმა და სხვა კომპოზიტორებმა. მათ ამ ოთხ ცეკვას სხვა ცეკვებიც დაუმატეს — **მენუეტი, გავოტი, ბურე...** განსაკუთრებით პოპულარული გახდა მენუეტი. კომპოზიტორები საცეკვაო სუიტებს, ძირითადად, იმ დროს გავრცელებული საკრავის — კლავესინისთვის წერდნენ.

## გენუატი

XVII საუკუნეში საფრანგეთი საცეკვაო მოდის კანონმდებელი გახდა. 1661 წელს სწორედ პარიზში შეიქმნა ევროპაში ერთადერთი „ცეკვის აკადემია“, ამავე დროს, პარიზშივე გაიხსნა მეჯლისების მოსაწყობი პირველი საცეკვაო დარბაზები. თვით საფრანგეთის მეფე ლუდოვიკ XIII იყო მუსიკისა და ცეკვების დიდი მოტრფიალე. მისი მეფობის დროს ხშირად იდგმებოდა ფრანგული ბალეტები, რომლებშიც თავადაც სიამოვნებით მონაწილეობდა. ლუდოვიკის მეფობის დროს შეიქმნა, ასევე, მევიოლინეთა პირველი ანსამბლი — ცნობილი „მეფის 24 ვიოლინო“, ლულის ხელმძღვანელობით. მენუეტის მოდაც XVII საუკუნეში ლუდოვიკ XIV დაამკვიდრა. მალე მენუეტმა უკან ჩამოიტოვა ყველა სამეჯლისო ცეკვა და რამდენიმე საუკუნე დარჩა პოპულარულ ცეკვად. დიდგვაროვანთა შეიქმნა აღმოჩენის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი იყო მენუეტის კარგად ცოდნა. იგი ერთგვარ „კარგი მანერების სკოლად“ იქცა. არსებობდა „მეფის მენუეტი“, „დედოფლის მენუეტი“, „კარის მენუეტი“... მოდით, ახლა ჩვენც გავიცნოთ ეს ცეკვა. იგი სრულდება ზომიერ ტემპში და აქვს 3–ნილადი ზომა. წარმოიშვა ხალხური საფერხულო ცეკვებისგან. სახელწოდება მენუეტი „menu“ — დან მოდის და პატარა ნაბიჯებს ნიშნავს. მას თანდათან ჩამოცილდა ხალხური ნიშნები და XVII–XVIII ს.ს.-ებში პოპულარული გახდა მთელ ევროპაში. მენუეტს აქვს საზეიმო ხასიათი, სრულდება ნარ-ნარი ნაბიჯები, მის მოძრაობებში ბევრია თავის დაკვრა და რევერანსი (თავის დაკვრა მარჯვენა მუხლის ოდნავ ჩაკეცვით).

XVIII საუკუნიდან მენუეტმა მეტი სინატიფე შეიძინა და მისი ტემპიც აჩქარდა. იგი ბევრ საცეკვაო სუიტაში შევიდა, XVIII ს. ის მეორე ნახევრიდან კი პაიდნისა და მოცარტის სიმფონიებსა (III ნაწილები) და ოპერებშიც გაჩნდა.



## 3 ასტერ



იოჰან შტრაუსი (მამა)

XIX ს.-ის დასაწყისში მთელი ევროპა ვალსის რიტმებმა მოიცვა. მას დიდი სიამოვნებით ცეკვავდნენ ვენასა და პარიზში, ბერლინში, პეტერბურგში... ცეკვის პოპულარობა მისმა უბრალოებამ და მოხდენილობამ განაპირობა. ვალსის რიტმებმა ყველა მუსიკალურ ჟანრში „შეაღწია“ — სიმღერაში, სიმფონიაში, ბალეტსა და ოპერაშიც. ვალსებს ყველა ცნობილი კომპოზიტორი წერდა — შუბერტი, ვებერი, ლისტი, ბერლინზი, ჩაიკოვსკი, შოპენი...

ავსტრიის, გერმანიისა და ჩეხეთის არაერთი ცეკვა ითვლება ვალსის წინაპრად. ესენია: Rundtanz, Roller, Dreher, შემდეგ კი Walzer. ყველა მათგანისთვის დამახასიათებელია წრიული მოძრაობები და მათი სახელწოდებებიც ნიშნავს: „წრიულს“, „წრეში მოტრიალეს“.

ვალსმა პირველად გაიუღერა ვენის სცენაზე, 1786 წელს, მარტინ სოლერის ოპერაში — „იშვიათი ნივთი“. მსმენელს იგი ძალზე შეუყვარდა და მალე სამეჯლისო ცეკვადაც იქცა.

ვალსის პირდაპირი წინაპარი — ლენდლერი — ავსტრიული და გერმანული ცეკვა გახლავთ, რომელიც აუჩქარებელ ტემპში, 3-ნილად ზომაში სრულდებოდა. ფაქტიურად, ჰაიდნის, მოცარტისა და ბეთჰოვენის „გერმანული ცეკვები“ ლენდლერები იყო. ლენდლერებს წერდა შუბერტიც. ვენაში, ცნობილ „შუბერტიადებზე“, სადაც შუბერტის მეგობარი პოეტები, მხატვრები და მუსიკოსები იკრიბებოდნენ, უკრავდნენ და იმპროვიზირებდნენ ლენდლერებს, ვალსებს, პოლკებს, მარშებს. შუბერტის ლენდლერები და ვალსები მცირე ზომის მინიატურები იყო. თანდათან კი განვითარდა ე.ნ. „ვენის ვალსის“ ფორმა, რომელიც რამდენიმე ვალსს აერთიანებდა. ასეთ „დიდ ვალსებში“, გაერთიანებული იყო 5-5 ერთი ტონალობის ვალსი. ასე წარმოიშვა ვენის ვალსის ფორმა. ვენის ვალსის დიდოსტატები გახდნენ ვენელთა საყვარელი კომპოზიტორები და დირიჟორები — **იოჰან შტრაუსი (მამა)**. მათი დიდების პიკი XIX ს.-ის 20-40-იანი წლები იყო. თვით ცნობილი ვაგნერიც აღფრთოვანებით იხსენებდა შტრაუსის არაჩვეულებრივ დირიჟორობას და აღნიშნავდა, რომ შტრაუსის კონცერტების მსმენელნი უფრო მუსიკით იყვნენ მთვრალნი, ვიდრე ღვინით. და, მიუხედავად ამისა, ვალსების მეფედ არა მამა-შტრაუსი, არამედ მისი შვილი — **იოჰან შტრაუსი აღიარეს**. მამა უკვე დიდად წარმატებული მუსიკოსი იყო, როცა მისი 18 წლის შვილი — იოჰან შტრაუსი, 1844 წელს დებიუტით წარსდგა ვენელი მსმენელის წინაშე, როგორც დირიჟორი და პოეტური ვალსების შემქმნელი. მის ამ პირველ გამოსვლას პრესა გონიერად გამოეხმაურა: „ლამე მშვიდობისა, ლანერ! ლამე მშვიდობისა, მამა იოჰან შტრაუსო! დილა მშვიდობისა, შტრაუსო, შვილი!“.

შტრაუსი-შვილის შემოქმედებაში ვალსი დამოუკიდებელ საკონცერტო ჟანრად იქცა. თუკი ადრე ვალსი მხოლოდ საცეკვაო დარბაზებში იყო გაბატონებული (საინტერესოა რომ ვენის დარბაზი „აპოლო“ 5000 მოცეკვავეს იტევდა), XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან ის უკვე საკონცერტო ესტრადაზე უღერს, შტრაუსის საუკეთესო ვალსები „მშვიერი ცისფერ დუნაიზე“ და „ვენის ტყის ზღაპრები“ 60-იან წლებში დაიწერა. ისინი რომანტიულობით, მელოდიის სიმდიდრითა და ფერადოვნებით დღესაც გვხიბლავს. ი.შტრაუსის თანამედროვენი „ცისფერი დუნაის“ შესახებ ამბობდნენ — არ ვიცით ვალსის ხმები გვესმის თუ მდინარის, მდინარე მოედინება უსასრულოდ თუ ვალსი ბრუნავს და ტრიალებს შეუჩერებლადო.



იოჰან შტრაუსი (შვილი) და იოჰანეს ბრამსი

შტრაუსმა-შვილმა 168 ვალსი, უამრავი პოლკა, კადრილი და მარში დაწერა. მისი ვალს-ები გაზაფხულივით მარადიული, ცოცხალი და საყვარელია დღესაც.



იოპან შტრაუსის ვალსი „ცისფერ დუნაიზე“ და მოისმინეთ კლასში.

## თანამედროვე სიმღერები

**მიზანი:** მარტო და სხვებთან ერთად სიმღერის უნარ-ჩვევების გამომუშავება. შემოქმედებით პროცესში აქტიური ჩართვა. მუსიკის მოსმენისას საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა — პლასტიკა, ხატვა. რიტმის გამოხატვის, დამახსოვრების უნარ-ჩვევების განვითარება. შესასწავლი სიმღერების ყოველდღიურობასთან დაკავშირება.

**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, აუდიო დისკი

**ხანგრძლივობა:** 12 აკადემიური საათი

სახელმძღვანელოში სხვადასხვა კომპოზიტორისა და სხვადასხვა სტილის სიმღერები შევიტანეთ. სიმღერების არჩევისას გავითვალისწინეთ მოსწავლეთა ასაკი, მათი ინტერესები, გემოვნება, შესაძლებლობები. მოსწავლეები სწავლობენ უკვე კლასიკად მიჩნეულ, როგორც ქართულ საესტრადო სიმღერებს, აგრეთვე, რამდენიმე ძალიან პოპულარულ უცხოურ სიმღერასაც: ინგლისურ, ესპანურ, იტალიურ, ლათინურ ენებზე. სახელმძღვანელოში სულ 12 სიმღერაა მოცემული. მუსიკალურ დისკზე ჩანაწერილია ამ სიმღერების „მიუს“ და „პლიუს“ ფონოგრამები. მოსწავლეები სიმღერების ტექსტის შესწავლის შემდეგ, მუსიკალური ჩანაწერის დახმარებით, ადვილად აითვისებენ ამ სიმღერებს. მასწავლებელი მათ ესაუბრება სიმღერის, მუსიკისა და ტექსტის ავტორებზეც. (მოსწავლის წიგნში ეს თემატიკა თვალსაჩინოდ და ვრცლად არის მოწოდებული). ბავშვებს მასწავლებლის გარეშეც შეუძლიათ, დამოუკიდებლად შეისწავლონ სიმღერა. სიმღერის გაკვეთილებში მოცემულია ზოგიერთი სიმღერის ერთხმიანი სანოტო ჩანაწერიც. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ნოტების დასახელებით გაიმღერონ და გაიაზრონ სიმღერის მელოდია. ეს აქტივობა ეხმარება მათ ნოტების გახსენებასა და სოლფეჯიოს საკითხების გამეორებაში.

წლის ბოლოს თითოეულ მოსწავლეს საკმაოდ ბევრი სიმღერა ეცოდინება და შეუძლია ეს ცოდნა გამოიყენოს როგორც ინდივიდუალური შესრულებისას, ასევე, კლასისა და სკოლის კონცერტებზე. სახელმძღვანელოში მოცემულ მრავალფეროვან თემატიკასთან ერთად ამ სიმღერების შესრულება უფრო მეტად გაამდიდრებს მათ ცოდნას და დახვეწს მათ გემოვნებას.

თანამედროვე სიმღერების გარდა, მოსწავლეები სწავლობენ საგალობელს — „წმიდაო ღმერთო“. ცალ-ცალკე სწავლობენ I, II და III ხმას. მასწავლებელი გაკვეთილზე ასმენინებს მათ ჩანაწერს და ამის შემდეგ მთელი კლასი სწავლობს ჯერ I, შემდეგ II და, ბოლოს, III ხმას. სამივე ხმის შესწავლის მერე მასწავლებელი გადაანაწილებს ხმებს დიაპაზონის მიხედვით, შესაძლებელია, საგალობელი მთელმა კლასმა ერთად შეასრულოს ან მოაწყონ კონცერტი-შეჯიბრი სამ-სამი მოსწავლის მონაწილეობით. მოსწავლეებს შეუძლიათ, საგალობელი შეასრულონ ექსკურსიაზე, ბუნებაში, ეკლესიაში.

გაიხსენონ წინა კლასში ნასწავლი სიმღერები თბილისზე, სიმღერები ქართული კინოფილმებიდან და მოაწყონ თემატური კონცერტები.

მასწავლებლის წიგნის ბოლოს დართულია ყველა სიმღერის ნოტი.

# Finale – 2008

**მიზანი:** ახალი კომპიუტერული მუსიკალური პროგრამის, Finale-2008-ის, გაცნობა-შესწავლა. მარტივი კომპინაციებით სანოტო ჩანაწერის აკრეფა-აუდირება. ამ პროგრამის დახმარებით მუსიკალური ნაწარმოებების მოსმენა, სხვადასხვა ინტერპრეტაციებთან შედარება. შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამომუშავება. სხვისი შემოქმედებისადმი პატივისცემა. ცოდნის შეჯამება-შეფასება.


**რესურსი:** მოსწავლის წიგნი, აუდიო-დისკი



VIII კლასის სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად, სახელმძღვანელოში მოცემულია კომპიუტერული პროგრამა – Finale - 2008. ეს პროგრამა ითვალისწინებს მუსიკალური ნაწარმოების სანოტო ჩანერისა და გახმოვანების შესწავლას კომპიუტერის მეშვეობით. მასალა მოწოდებულია თვალსაჩინოდ, მარტივად და გასაგები ენით. პროგრამის შესწავლა დავიწყეთ VII კლასში და ვაგრძელებთ VIII-ში. მოსწავლეს საშუალება ეძლევა, კომპიუტერში შეასრულოს ამა თუ იმ სიმღერის სანოტო ჩანაწერი, ააუდეროს ეს ჩანაწერი სხვადასხვა საკრავით ან მთელი ორკესტრის ხმოვანებით. ამ გაკვეთილებით თანმიმდევრულად შეიძლება მარტივი კომპინაციების შესწავლა. ამაში გვეხმარება კომპიუტერის ეკრანზე ვიზუალურად გამოტანილი ნახატები, სადაც ისრების დახმარებით ნაჩვენებია, თუ როგორ გაიხსნას ფაილი, შეირჩეს ნაწარმოები, კომპოზიტორი, საკრავი, ტონალობა ზომა და ტემპი, ტაქტებში ნოტების შერჩევა, ახსნილია Num Lock-ის კლავიატურისა და სხვა ღილაკების დანიშნულება.

მასწავლებელი, რომელსაც შეუძლია გაკვეთილზე კომპიუტერთან მუშაობა, მთელ კლასთან ერთად გაეცნობა და შეისწავლის ამ მუსიკალურ პროგრამას. ხოლო ბავშვებს თავადაც შეუძლიათ, სახლში, ინდივიდუალურად შეისწავლონ იგი. ამ გაკვეთილებით ვაცნობთ პროგრამის დასაწყის ეტაპს. ჩვენი მიზანია, დავაინტერესოთ მოსწავლე მუსიკალური პროგრამით.

Finale-2008-ის გაკვეთილები მასწავლებელსაც დაეხმარება აითვისოს ახალი მუსიკალური პროგრამა და აიმაღლოს პროფესიონალიზმი.



### გრძლივრები

ბრევისი	მთელი	ნახევარი	მეოთხედი
მერვედი	მეთექვსმეტედი	ოცდამეთორმეტედი	

=	=	=
=	=	=

# დავალება მოსწავლეებს

იმედი გვაქვს, ჩვენი მუსიკის გაკვეთილების მეშვეობით, მუსიკალური შთაბეჭდილებების დიდი მარაგი დააგროვეთ. ხალხური, კლასიკური და თანამედროვე მუსიკის სახეები, ცხოვრების მრავალფეროვანი მოვლენები თქვენი დამოუკიდებელი კვლევითი პროექტის საფუძველი შეიძლება გახდეს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა შეარჩიოთ საინტერესო თემა. შემდეგ შეადგინოთ კვლევის გეგმა, მოიპოვოთ მუსიკალური მასალა, წიგნები, რეპროდუქციები, ფოტოები, ასევე საგაზიეთო და უურნალების პუბლიკაციები.

შეკრებილი მასალის მიხედვით, დაწერეთ პატარა რეფერატი, შემოქმედებითი ნაშრომი. მნიშვნელოვანია ის, რომ ამ ნაშრომში მოხვდეს არა მხოლოდ შეკრებილი მასალა, ინფორმაცია, არამედ გამოთქვათ საკუთარი აზრი და შეფასება.

**პროექტის დაცვა** შეიძლება საინტერესო დღესასწაულადაც ვაქციოთ. მას, შეიძლება, შეჯიბრი-კონკურსის სახეც მივცეთ, ან გავმართოთ მუსიკალური რინგი, თეატრალიზებული წარმოდგენა, წარმოდგენა უმცროს კლასელთათვის, ხელოვნების ფესტივალი და ა.შ.

პროექტის წარდგენისას ყველას შეუძლია, სურვილისამებრ გამოავლინოს შემოქმედებითი ნიჭი და უნარი — იმდერონ, დაუკრან რომელიმე საკრავზე, წაიკითხონ ლექსი მუსიკის ფონზე, იყოს მხატვარი, ფოტოკორესპონდენტი და ა.შ.

შეადგინეთ თემის გეგმა.

— მუსიკის, ლიტერატურისა და სახვითი ხელოვნების რომელი ნაწარმოები შევა ამ პროექტში?

— შემოქმედებითი მოღვაწეობის რომელ სფეროში შეძლებთ მონაწილეობის მიღებას ამ პროექტის ფარგლებში? — მაგ. მუსიკოს-შემსრულებელი, მუსიკალური გამფორმებელი, მსახიობი, რეჟისორი, მხატვარი, წამყვანი, ფოტოგრაფი, კინომოპერატორი და სხვა.

**სავარაუდო თემები:**

1. ქართული საგალობელი — პროექტი;
2. ხალხური მუსიკა: წყაროები, მიმართულებები, სიუჟეტები და სახეები, ცნობილი შემსრულებლები და საშემსრულებლო კოლექტივები;
3. ბაროკოს კომპოზიტორების ცხოვრებისა და შემოქმედების გზა — პროექტი;
4. სიმფონიური ორკესტრის განვითარების გზა, სიმფონიური ორკესტრის საკრავები — პროექტი;
5. რომელიმე მუსიკალური ჟანრის განვითარების ისტორია — ოპერა, ბალეტი და აშ. — პროექტი;
6. XX საუკუნის გამოჩენილი კომპოზიტორები: ი. სტრავინსკი, ა. შონბერგი;
7. **მუსიკალური ვიქტორინა** — გარკვეული თემის დასრულების შემდეგ, მასწავლებელი კლასში აწყობს მუსიკალურ ვიქტორინას. ბავშვები უსმენენ რამდენიმე ნაწარმოებს, ამოიცნობენ მის ავტორს და განსაზღვრავენ ნაწარმოების ჟანრს. ასეთი გამოცდა — ტესტირება მასწავლებელს შეუძლია წელიწადში რამდენეჯერმე ჩაატაროს, რაც ხელს შეუწყობს ცოდნისა და მუსიკალური მეხსიერების განმტკიცება-განვითარებას.

## პასუხები რუბრიკისათვის, გამოიცანი რა სიმღერაა

გვ. 27 — საქართველოს პიმნი — ზ. ფალიაშვილი

გვ. 27 — „ქართველო ხელი ხმალს იკარ“

გვ. 27 — „მრავალუამიერი“

გვ. 27 — „ასლანური მრავალუამიერი“

გვ. 85 — რ. შუმანი. საფორტეპიანო ციკლი „კარნავალი“ — „დავითსბუნდლერების მარში“

# ადრეული მუსიკა

**ადრეული მუსიკა** — ზოგადი ტერმინია, რომელიც ახასიათებს ევროპული კლასიკური ტრადიციების მუსიკას რომის იმპერიის დაცემიდან – 476 წ.-დან, ბაროკოს ეპოქის დასრულებამდე, XVIII ს.-ის შუა წლებამდე. ამ დიდი დროის მანძილზე, მუსიკა თანდათან მრავალფეროვანი გახდა, იგი მრავალმხრივ კულტურულ ტრადიციებსა და დიდ გეოგრაფიულ სივრცეს მოიცავდა. შუა საუკუნეების ევროპული კულტურისათვის გამაერთიანებელი კი რომაულ-კათოლიკური ეკლესია იყო და პირველი ათასწლეულის მუსიკის განვითარება სწორედ მასთან არის დაკავშირებული. ამ პერიოდის არაქრისტიანული მუსიკა მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი.



ბიზანტიური მგალობელი

მუსიკის ისტორიის პერიოდიზაცია:	
შუა საუკუნეები	476–1400
რენესანსი	1400–1600
ბაროკო	1600–1760
კლასიციზმი	1730–1820
რომანტიზმი	1815–1910
XX საუკუნე	1900–2000

## I გაკვეთილისთვის

უძველესი დოკუმენტები და მხატვრული გამოსახულებები ადასტურებენ, რომ ადრეული შუა საუკუნეების (800 წლებამდე) მუსიკალური ცხოვრება საკმაოდ მდიდარი იყო, თუმცა ისტორიამ მხოლოდ რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ლიტურგიული მუსიკა შემოინახა. მნიშვნელოვანი ნაწილი ე.წ. **გრიგორისეულ ქორალს** უკავია, რომელსაც ეს სახელი პაპა გრიგოლ I-ის გამო ეწოდა. გარკვეული ცნობებით, გრიგოლ I თავად იყო კომპოზიტორი და უმეტესი საეკლესიო ლიტურგიების ავტორი. ბევრი გრიგორისეული ქორალის ავტორი კი უცნობია (გრიგოლ I-ის დროიდან კარლ დიდის ხანამდე — ანონიმი ავტორები).

IX საუკუნეში შუა საუკუნეების მუსიკალურ ხელოვნებაში მნიშვნელოვანი რამ მოხდა. ერთის მხრივ, იყო მცდელობა სხვადასხვა მიმართულების გრიგორისეული ქორალების ერთ ჩარჩოებში მოქცევისა, მეორე მხრივ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო **ადრეული პოლიფონის გაჩენა**. მანამდე არსებულ ოქტავაში გაორმაგებულ მრავალხმიანობას ცვლის ახალი ფორმა. საეკლესიო მელოდიას თანხლებას უწევს მეორე ხმა, რომელიც ძირითად ხმასთან ერთად მოძრაობს უნისონიდან კვარტამდე (ეგრეთ წოდებული ორხმიანი ორგანუმები ან დიაფონია). მესამე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო **მუსიკალური ნოტაციის შექმნა**, რომლითაც დაგვირგვინდა კომპოზიტორთა 500 წლიანი მცდელობა ამ სფეროში. თავდაპირველად ნოტების ჩასაწერად იყენებდნენ ხაზებს და ლათინური ანბანის 7 ან 15 ასოს. თანამედროვე მუსიკალური ნოტების შექმნელად ითვლება **გვიდო არეცოელი** (1037 წ.), რომელმაც ასოითი და ნევმური დამწერლობა ერთ მნიუბრ სისტემად აქცია. 1100 წლის შემდეგ პოლიფონიური მუსიკის რამდენიმე სკოლიდან გამოირჩევა **პარიზის ლვისმშობლის ტაძრის სკოლა**, რომელმაც მსოფლიოს მისცა იმ დროის მრავალხმიანობის არაჩვეულებრივი ნიმუშები და ითვლება ევროპული საგუნდო პოლიფონიის პირველ სკოლად. მისი დამფუძნებლები იყვნენ ბერები — **ლეონინი და პეროტინი**. საეკლესიო მუსიკის სკოლები არსებობდა ასევე იტალიაში და ინგლისში. საეკლესიო მუსიკასთან ერთად იქმნებოდა საერო მუსიკაც. ამ მხრივ აღსანიშნავია **ტრუბადურების**, **ტრუვერებისა** და **მინეზინგერების** მოღვაწეობა. მათი კომპოზიციები, იმდროინდელი საერო მუზიკირების მუსიკალური ფორმები და ესთეთიკური იდეები დასაბამს აძლევს ადრეული აღორძინების-რენესანსის დასაწყისს.

# შუა საუკუნეები



რომის პაპი გრიგოლ I

შუა საუკუნეების ხანგრძლივი 1000-წლოვანი ხანა კაცობრი-ობის ისტორიაში რთული, წინააღმდეგობრივი ეპოქაა, რომელ-მაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ევროპულ ერებს, სა-ხელმწიფოებსა და ენებს.

რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, მონათმფლობელობა ახალმა საზოგადოებრივმა წყობამ — ფეოდალიზმმა შეცვა-ლა. ბარბაროსებმა ბევრი რამ შეითვისეს იმ ცივილიზაცი-იდან, რომელიც თავად გაანადგურეს. შეიქმნა ბევრი ახალი, რომელიც პრიმიტიული კულტურის მიუხედავად, ანტიკურ ნიადაგზე იდგა. ძველსა და ახალს შორის შემაკავშირებელი გახდა ქრისტიანობა. ქრისტიანობამ მოიტანა განათლება. საუკუნეების მანძილზე, კულტურის კერა ეკლესია-მონას-ტრები იყო. ტაძრების მშენებლობისას რომაული სამშენებლო ტექნიკა გამოიყენებოდა. ამიტომაც, ადრეულ შუა საუკუ-ნეების ტაძრების სტილს რომანული სტილი ეწოდა. მოგვიანე-ბით იგი გოთურმა სტილმა შეცვალა.

შუა საუკუნეების საწყისი ეტაპი – **ადრეული შუა საუკუნეებია** (X ს-მდე), როცა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობები ჩამოყალიბდა (ბატონი-ვასალი, საძმოები, ორგანიზა-ციები, ერთობები). VIII-IX ს.ს.-ის მიჯნაზე კი ცხოვრების ყველა სფეროში ქრისტიანული რელიგია გაბატონდა. XII-XIII ს-დან განვითარდა ქალაქები, გზები, სამშენებლო-საინჟინრო საქმე, შეიქმნა არქიტექტურული ანსამბლები, შენობები უამრავი ფანჯრით, ვიტრაჟებით. ტაძრებთან გაიხსნა საეკლესიო სკოლები. დაარსდა საერო სკოლებიც, რომლებიც მოგვი-ანებით, უნივერსიტეტებად იქცა. მათ შორის ყველაზე ადრეულია კემბრიჯი და ოქსფორდი – ინგლისში, პარიზის უნივერსიტეტი – საფრანგეთში. ჩამოყალიბდა შუა საუკუნის სწავლუ-ლის, სტუდენტის, ინტელიგენტის ტიპი. მეცნიერებათა შორის მნიშვნელოვანი როლი ენი-ჭებოდა მუსიკას და მათემატიკასთან და ასტრონომიასთან ერთად მოიაზრებოდა. მხოლოდ აღორძინების ეპოქაში დაიწყო მუსიკის, როგორც ესთეტიკური კატეგორიის, მხატვრული ტკბობის საშუალების აღქმა და წარმოიშვა ცნება „**მუსიკალური ხელოვნება**“. შეიცვა-ლა და დაჩქარდა ცხოვრების რიტმი და ტემპი, ახალი დროის სიმბოლო გახდა მექანიკური საათი.

ამ სიახლეებმა, ახლის ძიების სურვილმა დროთა განმავლობაში დიდი ცვლილებები გამოიწვია ადამიანთა ცხოვრებაში. თანდათან დადგა ახალი ეპოქა ევროპის ისტორიაში – **აღორძინება**, რომელიც თავისი არსითა და სულისკვეთებით თანამედროვე ადამიანთან უფრო ახლოა და განსხვავდება შუა საუკუნეებისგან.

შუა საუკუნეების **საკულტო მუსიკა**, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე პროფესიონალურ ევროპულ მუსიკას, საზრდოობდა ებრაული, სირიული, რომაული საკულ-ტო და ბერძნულ-რომაული საერო მუსიკის ძველი ტრადიციებით.

შუა საუკუნეების ხელოვნებას რელიგიური სიუჟეტი და თემები დაედო საფუძვლად. **პროფესიული მუსიკაც** ეკლესიის წიაღში ვითარდებოდა და სხვადასხვა ქვეყანაში ძველი საგალობლები ადგილობრივ სასიმღერო ტრადიციებს ემყარებოდა. მოგვიანებით რომის ეკლესიამ განიზრახა მთელ დასავლეთ ევროპულ სამყაროში ღვთისმსახურების ერთიანი საკულტო რიტუალი შეექმნა და მუსიკაც ყველგან ერთნაირი ყოფილიყო.

ეს უზარმაზარი სამუშაო VI-VII ს.ს. მიჯნაზე დაასრულა რომის **პაპმა გრიგოლ I-მა**. მრავალრიცხოვანი საეკლესიო საგალობლებიდან (განსაკუთრებით რომის) შეირჩა ისინი, რომლებიც ყველაზე ხშირად სრულდებოდა და შეესაბამებოდა რელიგიურ სულს. საგალო-

ბელი დაიხვეწა, უფრო მკაცრი და სადა უღერადობა შეიძინა. ასე გაჩნდა „ანტიფონარი“ - კათოლიკური საგალობლების სრული ნაკრები — „გრიგორისეული ქორალი“, რომელიც ევროპულ მუსიკაში ძალზედ მნიშვნელოვანი რამ იყო და გავლენა იქონია და განსაზღვრა ადამიანთა მუსიკალური აზროვნება.

**ერთხმიან გრიგორისეულ ქორალს** ლათინურ ენაზე მამაკაცთა გუნდი ან სოლისტ-მომღერალთა ანსამბლი ასრულებდა. მისი მდორე სტილი მარადიულობასთან შერწყმის შეგრძნებას ბადებდა, ერთხმიანობას, სერიოზულობას, ყოფითი სფეროსგან აბსოლუტური მოწყვეტილობა და ყოველგვარი ე. წ. „**II პლანის**“ არარსებობა ამავე ეპოქის მხატვართა ტილოებს მოგვაგონებს, სადაც სურათის ცენტრში, მსხვილი პლანითაა დახატული მთავარი სახე და კომპოზიციის აზრობრივ ცენტრს ის ქმნის.

გრიგორისეული მუსიკა დამყარებულია **დიატონიკაზე** (ფრანგ. „**დიატონიკოს**“ - „გაჭიმული“) — ბერები რიგზე, რომელიც აგებულია გამის ბერებზე, ამაღლებისა და დადაბლების გარეშე. არსებობდა საეკლესიო დიატონური გამების სპეციალური სისტემა, რომელიც ევროპაში ბიზანტიიდან შემოვიდა. კილოს რაოდენობა იყო 8 და ამასაც სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა: 2X4, სადაც 2 ასახავდა ქრისტეს ორგვაროვან ბუნებას – ღმერთსა და ადამიანს, ხოლო 4 – ჯვრის 4 ბოლოს. **ამგვარად, გრიგორისეული კილოური სისტემა ჯვარცმული ქრისტეს სიმბოლო იყო.**

დიატონური მელოდიის აუჩქარებელი განვითარება საწყისი ინტონაციების ვარირებაზეა დამყარებული და ერთსა და იგივე ემოციურ მდგომარეობაში ხანგრძლივად ყოფნას გულისხმობს. აქ მთავარია მარადიული და არა წამიერი სულიერი ძებანი. Cantus Planus — თანაბარი მღერა – ეს სახელი კარგად გამოხატავს მის არსა. აქ არ არის არანაირი მელოდიური ნახტომები, ხასიათი კი მშვიდი-განწყნასწორებული, მწუხარე-სევდიანი, ან ნათელი სადღესასწაულოა. გრიგორისეული გალობის ერთ-ერთი ადრეული სახეობაა **ფსალმოდია.**

**შუა საუკუნეების სასულიერო მუსიკა** — ეს საუკუნეების მანძილზე ქრისტიანული ეკლესიის მოღვაწეთა მიზანმიმართული მუშაობის შედეგია, რამაც სრულყოფილი და მკაფიო სახე გრიგოლისეულ საგალობლებში მიიღო. ეკლესიის მამები ირწმუნებდნენ, რომ ეს საგალობლები ისევე მარადიული და უცვლელია, როგორც ღმერთი, ქრისტიანობა და ეკლესია. ქორალები შესანიშნავად ერწყმოდა განვითარებული შუა საუკუნეების არქიტექტურის გოთიკურ სტილს, მიწიერიებას მოკლებულ ფერწერასა და ქანდაკებას და ეკლესიის მიერ ოფიციალურად დაშვებულ ლიტერატურასა და პოეზიას. გრიგორისეული ქორალი – კათოლიკური ეკლესიის მიერ მტკიცედ იყო დაცული და სამი საუკუნის მანძილზე ხელშეუხებელი.



ბერი ნოტკერი

**IX ს.-დან** კი ამ კანონიზირებულ გრიგორისეულ ქორალთან ერთად, ღვთისმსახურებაში შემოვიდა ე. წ. **ჰიმნები.** ჰიმნები თავისი საერო და ემოციური ხასიათის გამო, დიდხანს განდევნილი იყო ეკლესიიდან. ქორალისგან განსხვავებით, მას პოეტური (და არა პროზაული) ტექსტი ჰქონდა. ჰიმნებთან ერთად, ნელ-ნელა ხალხური მელოდიებიც შემოვიდა საეკლესიო წიაღში და ახალი ფორმებიც განვითარდა, მაგ. **სეკვენციები** (sequere – მიყოლა, მიმდევარი) — იმპროვიზაციული ხასიათის პოეტური ჩანართი-ეპიზოდები. მისი პირველი ავტორი შვეიცარიელი **ბერი ნოტკერია.** ცხოვრება ვითარდებოდა და ერთფეროვან ფორმებს გამოცოცხლება სჭირდებოდა. ამას თავად ეკლესიის მსახურნიც გრძნობდნენ. ამიტომ გარკვეულ პერიოდში მცირეოდენ დათმობაზე წავიდნენ; ეს შეეხო სწორედ სეკვენაციას. დაკანონებული საგალობლის დასრულების შემდეგ „**სოლისტს**“ უფლება მიეცა შეესრულებინა ნებისმიერი იმპროვიზაცია სიტყვებზე

**„ალილუია, ოსანა, ამენ“.** მომღერლისთვის ეს წამახალისებელი სტიმული იყო. ეს იყო საკ-მაოდ მიმზიდველი, ხმოვან ასოებზე აგებული ვირტუოზული ტექნიკით და მდიდარი მელიზ-მატიკით გამორჩეული ვოკალური მელოდიები.

სეკვენციები ძალზე პოპულარული გახდა, შეავინროვა გრიგორისეული ქორალი, რის გამოც ეკლესიამ აკრძალა, თუმცა მთლიანად მაინც ვერ განდევნა. ამიტომ ეკლესია



გარკვეულ დათმობებზე წავიდა და გამონაკლისის სახით, რამდენიმე სეკვენცია დაუშვა, მათ შორის იყო Dies irae — „რისხვის დღე“ (ავტორი ბერი თომა). „dies irae“-ს შინაარსი



ბერი ნოტკერი. სეკვენცია

ტრაგიკულია და განკითხვის შიშით აღავსებს მსმენელს. შუა საუკუნეებიდან ერთადერთმა, სწორედ ამ ჰანგმა მოაღწია ჩვენამდე. იგი გამოიყენეს მოცარტმა, ბერლიოზმა, ლისტმა, ვერდიმ, ჩაიკოვსკიმ, რახმანინოვმა. ლისტმა — მუსიკალურ პოემაში „სიკვდილის ცეკვა“, ცნობილია ასევე სენ-სანსის - „სიკვდილის ცეკვა“, ჩაიკოვსკის - საფორტეპიანო პიესა „სამგლოვიარო მარში“, რახმანინოვის „მკვდრების კუნძული“ (ბიოკლინის ნახატის მიხედვით), შოსტაკოვიჩის მუსიკა — კინოფილმისათვის „ჰამლეტი“, ონეგერის ორატორია „მკვდრების სიმფონია“ და სხვ.

სეკვენციები ფართოდ გავრცელდა ყოფაშიც. იგი თავისი სიმარტივის, მრავალფეროვნების და გამომსახველობის წყალობით, სვადასხვა ფენაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. სეკვენციებს ავრცელებდნენ მოხეტიალე მუსიკოსები, რომლებიც ამავდროულად იყვნენ მოცეკვავები, ილუზიონისტები, აკრობატები — საფრანგეთში უონგლიორებად, ხოლო გერმანიაში შპილმანებად წოდებული.

სეკვენციების კვალდაკვალ განვითარდა **ტრაპები** — ლოცვის ძირითადი საგალობლების ტექსტი და მუსიკის დამატებანი. მათ საფუძველი მოუმზადეს ე.წ. **ლიტურგიულ დრამას**. ეს იყო თეატრალიზებული წარმოდგენა ქრისტეს ცხოვრების შესახებ (ტანჯვისა და სიკვდილის ასახვა — ე.წ. „ვნებანი“). მას ასრულებდა რამდენიმე ღვთისმსახური და გუნდი. გამოიყენებოდა გრიგორისეული სიმღერა, ხალხში პოპულარული სეკვენციები და ჰიმნები.

ლიტურგიული დრამა რთულდებოდა და ბოლოს იქცა **მისტერიად** — რელიგიურ თემას დაემატა საყოფაცხოვრებო სცენები, ყოფითი სიმღერებითა და ცეკვებით, სანახაობრივი დეკორაციებითა და კოსტიუმებით. ასე ჩაეყარა საფუძველი **საერო თეატრს**.

შუა საუკუნეების ეპოქის უდიდესი მონაპოვარია ადრეული **პროფესიული მრავალხმიანობა**. ჩვენთვის ცნობილი პოლიტონიის ნიმუშები VIII-IX ს.წ.-ით არის დათარიღებული.



მგალობელი ბერები



პეროტინის ორგანუმი

კათოლიკურ ეკლესიებში, მრავალხმიანობის განვითარებასთან ერთად, აუცილებელი გახდა **ორგანი**. ეკლესია-მონასტრებთან დაარსდა სასიმღერო სკოლები. თავდაპირველად შეიქმნა მარტივი, 2-ხმიანი ქორალები — **ორგანუმები (vox principales** — ძირითადი ზედა და vox organalis — დამხმარე), სადაც მხოლოდ თავში და ბოლოშია **უნისონი**. ხმები მოძრაობდა პარალელური ტერციებით, სექსტებით, კვარტა-კვინტებით. ქორალების უფრო სრულყოფილი სახეა **დისკანტი** — სადაც წამყვანია ქვედა ხმა (ტენორი), ზედა ხმები კი მდიდარი მელოდიური ფიგურებით ამკობენ მას. დისკანტი მწვერვალს აღწევს **ლეონინისა** და **პეროტინისთან**, რომლებიც რენესანსული პოლიფონიის წინაპრებად მიიჩნევიან. საფრანგეთში მათ დააარსეს პირველი შემოქმედებითი სკოლა — **პარიზის ლვითისმშობლის ტაძარი**. XIII ს.-ში, როგორც საეკლესიო, ისე საერო მუსიკალურ აზროვნებაში გაბატონებული სტილია **პოლიფონია**, რომელმაც თანდათან შეავინწროვა **მონოდია**. ჩამოყალიბდა ახალი უანრები: **მოტეტი, მესა.**

რაც შეეხება **სანოტო დამწერლობას**, ადრეულ შუა საუკუნეებში არ არსებობდა ბეგრის სიმაღლის ზუსტი ალნიშვნა და ამიტომ, იმ დროში, პროფესიულ მუსიკაში იყენებდნენ **ნევოურ ნოტაციას** — ტექსტის ზევით და ქვევით, წერტილების და ხაზების სახით იწერებოდა ნიშნები, რომლებიც მელოდიის არა თითოეული ბეგრის, არამედ ცალკეული ჯგუფების მოძრაობის მიმართულებას გვიჩვენებდა. **ხაზოვანი ნოტაცია X ს.-დან** შემოიღეს, ხოლო ბეგრის სიმაღლის აღსანიშნავად ხაზე გასაღები და ასოებრივი აღნიშვნები — XII ს.-დან. **გვიდო არეცო** ითვლება ხაზოვანი ნოტაციის შემქმნელად, მაგრამ ამ სისტემაში ჯერ კიდევ არ აღინიშნებოდა ბეგრის გრძლიობა და რიტმი.

XI-XIII ს.ს.-ის პარიზისა და სხვა სკოლებში პოლიფონისტებმა შექმნეს ე.წ. **მენზურული ნოტაცია** (mensura — ზომა), სანოტო ტექსტის ტაქტებად დაყოფა.



ლეონინი

## შუა საუკუნეების საერო მუსიკა

შუა საუკუნეებში, საეკლესიო პროფესიული მუსიკის შემდეგ, პროფესიული საერო მუსიკა შეიქმნა.



არფაზე შემსრულებელი

საერო პროფესიული მუსიკა თავად-აზნაურთა სასახლეებში წარმოიშვა. ეს იყო სადიდებელი სიმღერები, სუფრული, იუმორისტული, გასართობი, ნადირობისას შესასრულებელი მუსიკა.

მოგვიანებით რაინდების ხანა დადგა.

**რაინდობა** ჯვაროსნული ომების პერიოდში წარმოიშვა საფრანგეთში, ესპანეთში, ინგლისში, პორტუგალიაში, გერმანიაში. რაინდობასთან ერთად — რაინდული პოეზია და მუსიკა. ძველ ელინთა მსგავსად, რაინდულ მუსიკაში სიტყვა და მუსიკა განუყოფელია. მათი სიმღერები ეხება მორალს, რელიგიას, პოლიტიკას, ეძღვნება კონკრეტულ პირებს, ხშირად იდიალიზირებულია. მათი



ტრუბადური

შემოქმედების მთავარი თემა კი სიყვარულია. ამ პერიოდში გავრცელებული ჟანრებია: **კანცონა, პასტურელი, ალბა, სირვენტი.**

საფრანგეთში, XII ს-ის წარჩინებული გვარიშვილები და უბრალო მოქალაქეები ტრუბადურებად იწოდებოდნენ. ჩვენამდე მოღწეულია 2 ტრუბადურის 260 სიმღერა. ტრუბადურები მღერიან სიყვარულზე, გვიამბობენ სოფლის ცხოვრებაზე, საგმირო საქმეებზე და რაინდთა გამარჯვებებზე ჯვაროსნულ ომებში. მათ შემოქმედებას ბევრი ბაძავდა. ისინი მღეროდნენ **არფის ან ვიელას** (ვიოლინოსა და ვიოლას წინაპარი) თანხლებით. ტრუბადურთა პოეზიის შესანიშნავი ნიმუშია „**სიმღერა როლანდზე**“, რომელშიც რაინდთა სატრფიალო გრძნობებია გამოხატული.

XIII ს.-დან ტრუბადურებს ცვლიან ტრუვერები (trove – პოვნა) — ქალაქის ხელოსნები და მდაბიო წრიდან გამოსული პოეტები. შემონახულია მათი 2000-მდე სიმღერა. ფრანგი ტრუვერის სასიყვარულო ნაწარმოები „**რობენი და მარიონი**“ — ფრანგული კომიკური ოპერის თავისებური წინამორბედია.

გერმანიაში რაინდულ პოეზიას **მინეზინგერები** წარმოადგენდნენ. მინეზინგერთა ცნობილი შეჯიბრი ვარტბურგში გაიმართა 1207 წ. ფონ ეშენბახმა გადაამუშავა გერმანული თქმულებები გრაალის რაინდებსა და პარსიფალზე, რომლებიც მოგვიანებით, საფუძვლად დაედო ვაგნერის ოპერებს („ლოენგრინი“, „პარსიფალი“). მინეზინგერთა „**სიყვარულის სიმღერები**“ არა მხოლოდ მშვენიერ ქალბატონებს, არამედ გავლენიან პერცოგებს განადიდებდა.

მინეზინგერები კარზე აღმზრდელებად მსახურობდნენ, მონაწილეობდნენ მრავალ შეჯიბრში, მოგზაურობდნენ მთელს ევროპაში. XII ს. მათი შემოქმედების აღმავლობის ხანაა. XIV ს.-ში კი ისინი **მაისტერზინგერებმა** — სიმღერის ოსტატებმა შეცვალეს, რომლებიც პროფესიონალურ საამქროში (სახელოსნოში) გაერთიანდნენ და სასიმღერო ხელოვნებაში ახალი ეტაპი შექმნეს.

შუა საუკუნეებში, საეკლესიო ლიტერატურასთან ერთად, განვითარდა საერო ლიტერატურაც: რაინდული ეპოსი, სარაინდო რომანი, ფრანგი ტრუბადურების პოეზია და გერმანელ მინეზინგერთა ლირიკა. უმღეროდნენ და ადიდებდნენ ქრისტიანული რწმენისთვის თავდადებულ მებრძოლ რაინდებს. XII ს.-ში წარმოიშვა და ფართოდ გავრცელდა პროზაული სარაინდო რომანები, რომლებიც რაინდთა თავგადასავლებს მოგვითხრობდა. განვითარდა ლიტერატურა, შეიქმნა ახალი ჟანრი — **სალექსო ნოველა**. ფრანგული რაინდული რომანის ნიმუშია „**სიმღერა როლანდზე**“, რომელიც მოგვითხრობს ესპანეთში კარლოს დიდის ლაშქრობის შესახებ, მთავარი გმირი კი გრაფი როლანდია.

შუა საუკუნეების მუსიკაში ცალკე დგას **კელტთა მუსიკა**. კელტთა მუსიკაში კარის მუსიკოსები იყვნენ **ბარდები**, რომლებიც ასრულებდნენ გმირულ სიმღერებს, ბალადებს, სატირულ, საბრძოლო და სხვა სიმღერებს, სიმებიანი საკრავის — **კროტის** თანხლებით.

რაინდული ხელოვნების მნიშვნელობა და გავ-



ტრუბადური



მაისტერზინგერები წიუმშერგიდან



თანამედროვე მუსიკოსები შუა საუკუნეების საკრაფით — კრუმპორნით.

მერე კი საერო-ყოფით პოლიფონიის ჟანრად ჩამოყალიბდა.

XIII ს. მუსიკის ისტორიაში ძველი ხელოვნების საუკუნეს უწოდებენ, ხოლო XIV ს. უკვე ახალ ხელოვნებად მიიჩნევენ.

## დასკვნა

ქრისტიანული სწავლება და ქრისტიანული ეკლესია — შუა საუკუნეების ევროპული კულტურის უმთავრესი თემაა. ეკლესია იყო ერთადერთი სოციალური ინსტიტუტი, რომელიც აერთიანებდა ევროპულ ქვეყნებს, ტომებსა და სახელმწიფოებს, დიდი გავლენა იქნია ადამიანთა რელიგიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე და ავრცელებდა თავის მთავარ ფასეულობებსა და იდეებს.


ეკლესიასთან სულიერ სიახლოეს აღიარებდა საზოგადოების ყველა ფენა, თუმცა თითოეული მათგანი თავის განსაკუთრებულ კულტურას ავითარებდა. საერო ფეოდალების გაბატონებული კლასი იყო რაინდობა. სარაინდო კულტურა გულისხმობდა წეს-ჩვეულებათა რთულ რიტუალებს, მანერებს, საერო, საჯარო და მხედრულ-რაინდულ გართობებს, რომელთვის განსაკუთრებით პოპულარული იყო რაინდთა ტურნირები. სარაინდო კულტურა ქმნიდა თავის ფოლკლორს, სიმღერებს, პოემებს. წარმოიშვა ახალი ლიტერატურული ჟანრი — **რაინდული რომანი**. დიდი ადგილი ეკავა სასიყვარულო ლირიკას. მრავალფეროვნების მიუხედავად, შუა საუკუნეების ხელოვნებას აქვს საერთო ნიშნებიც: რელიგია (რადგან ეკლესია აერთიანებდა დაქუცმაცებულ სამეფოებს), და არქიტექტურა. ცხოვრების ყველა სფეროში რელიგიისა და ეკლესიის ბაზონობის მიუხედავად, ეს ეპოქა ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია ხელოვნებასა და კულტურაში. შუა საუკუნეები რენესანსისა და განმანათლებლური ეპოქის წინამორბედია.

ამავე პერიოდში, განვითარდა აღმოსავლეთის ქვეყნებში — შუა აზიაში, არაბეთში, ინდოეთში, ჩინეთსა და იაპონიაში **მონოდიური**, **ვირტუოზული ვოკალური** და **ინსტრუმენტული მუსიკა**, ევროპულისან განსხვავებული კილოური და კომპოზიციური თავისებურებით. ამ ქვეყნებში გავრცელებული მუსიკალური ჟანრებია: **მაკამი, რაგა, მუღამი** და **სხვა**.

აღმოსავლეთ სლავებში გავრცელდა საკულტო „**ნიშნობრივი გალობა**“. რომელიც დიატონურ ბერებითა რიგს ემყარებოდა.

## როგორ იქცნენ ნევაგი ნოტებად

ადამიანები ყოველთვის ცდილობდნენ მუსიკა თაობებისთვის შემოენახათ, ამისთვის აუცილებელი იყო მელოდიის ჩანერა. ჩანერას სხვადასხვაგვარად ახერხებდნენ. ნოტების ჩანერას, ანუ ნოტაციის მოხერხებული და ზუსტი სისტემის შექმნას, რამდენიმე საუკუნე დასჭირდა. ძველ საბერძნეთში მუსიკალურ ბერებს ბერძნული ანბანის ასოებით აღნიშნავდნენ, მაგრამ რიტმულ ნიშნებს ყოველთვის არ ამატებდნენ. ამ ნოტაციის გაშიფრა მეცნიერებმა მხოლოდ XIX ს.-ში მოახერხეს. შუა საუკუნეებში, ევროპაში ასოითი ნოტაცია



როგორ იქცნენ ნევმები ნოტებად

თითქმის მივიწყებული იყო. ამიტომ მუსიკოსები დამხმარენიშნებს, ერთგვარ მინიშნებებს იყენებდნენ. ეს სპეციალური ნიშნები იყო — **ნევმები**. ისინი მოგვაგონებს პატარა ხაზებს, წერტილებსა და მძიმეებს. **საქართველოშიც ნევმებს იყენებდნენ**, რუსეთში კი — კრიუკებს. ეს ნიშნები არც მთლად მოხერხებული იყო. მაგ. ნევმები იწერებოდა ტექსტის ზემოდან. საქართველოში კი სტრიქონს ზევით და ქვევით. ნევმები აღნიშნავდა ცალკეულ ბგერას ან ბგერების მცირე ჯგუფს. მომღერალს მიანიშნებდნენ, თუ როგორ უნდა ემოძრავა მელოდიას და ეს მინიშნებები მხოლოდ მაშინ ეხმარებოდა მომღერალს, თუ მან მელოდია ზეპირად იცოდა. ასე ზეპირად გადასცემდნენ ადამიანები მუსიკას თაობიდან თაობას. შუა საუკუნეებში მუსიკას ბერები და ღვთისმსახურები ასწავლიდნენ ეკლესიაში. ერთ-ერთმა მათგანმა — გენიალური ხერხი გამოიგონა — მან ფურცელზე გაავლო ხაზი, რომელზედაც ერთი სიმაღლის ნევმები დახატა. ეს ხაზი წითელი იყო. მერე სხვამ ამ ერთ ხაზს დაამატა II — ამჯერად ყვითელი ხაზი, რომელიც სხვა სიმაღლის ბგერას აღნიშნავდა. III და IV ხაზი კი იტალიელმა მუსიკოსმა

**გვიდო არეცომ** (გვიდო არეცოდან, გვიდო დ'არეცო), გაავლო. ახალი ნოტაციის შექმნის შესახებ ხმები ისე გავრცელდა, როგორც რაღაც სასწაულის შესახებ და **რომის პაპის — იოანე XIX-ს** ყურამდე მიაღწია. მან მიიწვია გვიდო თავისთან და არეცომ უცნობი მელოდია ახლებურად ჩანერილი ნოტებით იმდერა.


ნოტების დასახელება ნასესხებია წმინდა იოანესადმი მიძღვნილი ლათინური ჰიმნის 7 სტრიქონის პირველი მარცვლებიდან. წმინდა იოანე მომღერალთა მფარველად ითვლებოდა. ამ დროიდან მოყოლებული, მთელს მსოფლიოში, მუსიკის ჩასაწერად ნოტებს იყენებენ.

**სიტყვა „ნოტა“ ლათინურად ნიშნავს „ნიშანს“, „აღნიშვნას“.** სანოტო ხაზებზე განლაგებული ნოტები გადმოგვცემენ ბგერის სიმაღლესა და გრძლიობას. სიმაღლე დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ხაზზეა განლაგებული ნოტი. ხაზები ითვლება ქვემოდან ზემოთ. ხაზები გვეხმარება განვსაზღვროთ, რომელი ნოტი გამოსახავს დაბალ და რომელი მაღალ ბგერას.

## სანოტო დამნარღობა

ასე გაჩნდა თანამედროვე ნოტაციის წინაპარი — სანოტო დამწერლობა, რომელიც ზუსტად აჩვენებდა ბგერებს შორის ნახევარ და მთელტონიან მანძილებს. ამასთან, სანოტო დამწერლობა უფრო თვალსაჩინოც გახდა — იგი ნახატის მსგავსად ასახავდა მელოდიისა და მისი ხვეულების მოძრაობებს.

დროთა განმავლობაში ნიშანთა მოხაზულობა იცვლებოდა და ბოლოს იქცა ნიშნებად, რომელებსაც გასაღებები უნდეს, ხოლო ხაზებსა და მათ შორის მოქცეული ნევმები, გადაიქცა ცალკეულ



გვიდო არეცო



გვიდო არეცოს ხელი

გარდა, უნდა აღენიშნათ მათი ზუსტი გრძლიობაც. მრავალი ძიების შემდეგ, XVII ს.-ში მი-აკვლიეს სრულყოფილ სისტემას, რიტმულ პრინციპს, რომელიც ახლა მარტივად გვეჩვენება: მთელი ნოტი ხანგრძლიობით ყოველთვის უდრის ორ ნახევარს, 1 ნახევარი=2 მეოთხედს, 1 მეოთხედი=2 მერვედს და ა.შ. ტაქტის ხაზით ტაქტებს XVI ს.-დან აღნიშნავენ, ხოლო ნაწარმოების დასაწყისში აუცილებელად აღინიშნება ზომა.

XVII ს.-დან ნოტები იბეჭდებოდა კიდევ. XV ს.-ში, წიგნების ბეჭდვის მერე, ნოტების ბეჭდვაც დაიწყო.



 **მადრიგალი** იტალ. madrigale – აღორძინების ეპოქის საერო მუსიკალურ-პოეტური ჟანრი წარმოიშვა ძველი იტალიური მწყემსური სიმღერებიდან. XIV ს.-ში პროფესიულ მუსიკაში იდილიური, ლირიკური შინაარსის სიმღერაა, კულტურული ფორმის 2-3-ხმიანი, XVI ს.-დან 4-5-ხმიანი სიმღერაა.

XVI-XVII ს.ს.-ში უფრო დრამატიზებული გახდა და საფუძვლად დაედო მადრიგალურ კო-მედიას.

XVII ს.-დან მადრიგალს ჩამოსცილდა მუსიკა. იგი იქცა ქალისადმი მიძღვნილ მცირე ზომის ლექს-ქათინაურად. ქართულ ლიტერატურაში მადრიგალის ნიმუშია ნ. ბარათაშვილის „საყურე“, ი. გრიშაშვილის „ელისაბედ ჩერქეზიშვილს სალამი“, „რა კარგი ხარ, რა კარგი“ და სხვ.

**მოტეტი** ლათ. motetu, იტალ. – motetto, ინგლ. motet მრავალ-ს ხილი საეკლესიო ვოკალური ნაწარმოებია. უმეტესად ბიბ-ლიურ ტექსტებზეა დაწერილი. წარმოიშვა შუა საუკუნეებში. მოტეტში შერჩყმულია რამდენიმე დამოუკიდებელი მელო-დია, უმეტესად ლათინურ, ზოგჯერ კი სხვადასხვა ენაზეც. შემგომში ეს უანრი გვხვდება ბახთან, პალესტრინასთან, ლა-სოსთან, მენდელსონთან, რეგერთან, ჰინდემიტთან. მოტეტი დღემდე არსებობს.

**იუბილაცია** ლათ. *jubilatio* — „სასიხარულო წამოძახილი“. „ალილუიას“ ბოლო მარცვალზე მდიდრულად შემკული მო-  
ტივის ხანგრძლივად გაჟღორება.

**ტროპი** — ბერძნ. „სახე“, „ხერხი, საშუალება“ — შუა საუკუნეებში, გრიგორის სეულ ქორალში დამატებითი მელოდიური და



გვიდო არეჭოს ხელი

ტექსტური ფრაგმენტები, რომლებიც მთელი საგალობლის ან მისი ცალკეული ნაწილების შესავალს წარმოადგენდა. ზოგჯერ თავად საგალობელში ჩართავდნენ ხოლმე ან სულაც ზოგიერთ საგალობელს ცვლიდნენ რომელიმე ტროპით. სეკვენცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც იუბილაციის ტროპირების ადრეული მაგალითი. მოგვიანებით, სეკვენაცია დამოუკიდებელ ჟანრად იქცა.

**სეკვენცია** – ლათ. *sequentia*, მომდინარეობს სიტყვიდან *sequens* — „მომდევნო“.

1) შუა საუკუნეების საეკლესიო საგალობელის სახეობა ლათინურ ენაზე. IX-XII ს.ს.-ში დასავლეთეუროპული მუსიკისა და ლიტერატურის ერთ-ერთი უმთავრესი ჟანრი.

2) მოტივის ან ჰარმონიული საქცევის ახალ სიმაღლეზე გამეორება, პირველი გატარების დასრულებისთანავე. არის აღმავალი და დაღმავალი. განმეორებად მოტივს ან ჰარმონიულ საქცევს სეკვენაციის რგოლი ეწოდება.

**ტროპარი** – (ბერძ.) – კათოლიკური ეკლესიის ტროპის მსგავსი, აღმოსავლეთ ქრისტიანული (ბიზანტია, საქართველო, რუსეთი) სასიმღერო ხელოვნების ჟანრი: ერთსტროფიანი საგალობელი, დღესასწაულის ან წმინდანის სახოტბოდ განკუთვნილი. თავიდან ეწოდებოდა **სტიქიორები**. წარმოიშვა IV საუკუნეში, როგორც მისამღერი ფსალმუნებისა და ჰიმნებისთვის.

**ძლისპირი** – ჰიმნოგრაფიული ტერმინი (ძალი-სიმი, პირი-პირველი, ე.ი. პირველი სიმი); საგალობლის პირველი სტროფი, რომელიც დანარჩენი სტროფების რიტმულ მელოდიურ მოდელს წარმოადგენს.



ბარბაროსი – ასე უწოდებდნენ ძველი ბერძნები და ძველი რომაელები უცხოელებს – არაბერძნებსა და არარომაელებს.



ანტიკური თეატრი საბერძნეთში

## თეატრი

ხელოვნების ნებისმიერ დარგს — მუსიკას, ფერწერას, ლიტერატურას, თეატრს თავისი დამახასიათებელი ნიშნები აქვს. თეატრი სინთეტური ხელოვნება. თეატრალური ნაწარმოები — იგივე სპექტაკლი — იქმნება ტექსტის, რეჟისორის, მსახიობების, მხატვრისა და მუსიკოსის შემოქმედებით. ოპერასა და ბალეტში გადამწყვეტი მნიშვნელობა მუსიკას აქვს. თეატრი — კოლექტიური ხელოვნებაა და იგი მრავალი ადამიანის შრომის ნაყოფია. ჩვენ სცენაზე ვხედავთ მსახიობებს, მაგრამ სცენის მიღმა რჩებიან: კოსტიუმების მკერავები, რეკვიზიტების ოსტატები, გამნათებლები და ისინიც, ვინც თეატრის ფონები მისულ მაყურებელს პირველები ხვდებიან. ამგვარად, თეატრი არა მხოლოდ შემოქმედება, არამედ ერთგვარი წარმოებაც არის.

თეატრალურ სპექტაკლს საფუძვლად უდევს პიესა, ანუ ტექსტი დრამატული სპექტაკლისათვის. შინაარსი აუცილებელია საბალეტო სპექტაკლშიც, სადაც სიტყვა საერთოდ არც კი გვაქვს. ლიბრეტო აქვს პანტომიმასაც. სპექტაკლზე მუშაობისას დრამატურგიული ტექსტი გადადის სცენაზე — ანუ „ითარგმნება“ ერთი ენიდან მეორეზე. ასე გადაიქცევა ლიტერატურული სიტყვა სცენურ სიტყვად.

ფარდის გახსნის შემდეგ, მაყურებელი პირველად სცენას ხედავს, სადაც განლაგებულია დეკორაციები. დეკორაციები მიგვანიშნებს ისტორიულ დროს, მოქმედების ადგილს, ასახავს ეროვნულ კოლორიტს. სცენური განლაგების წყალობით პერსონაჟების განწყობილებაც გამოიხატება. სპეციალური მოწყობილობის დახმარებით იცვლება დეკორაციები: ქუჩა გადაიქცევა ოთახად, დღე — ღამედ, ზაფხული — ზამთრად და ა.შ.



საპრაფას თეატრი ლიბიაში

თუ ძველ დროში ასაწევ მექანიზმებს, ფარდებს, ლუკებს – ხელით ამოძრავებდნენ, თანამედროვე სამყაროში ამას ელექტრონიკის დახმარებით ახერხებენ. ძველი დროის სანთლები და ფარნები დღეს ელექტრო სანათებმა და ლაზერებმა შეცვალა.

ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ჩამოყალიბდა თეატრალური სცენისა და მაყურებელთა დარბაზის 2 ტიპი:

I — სცენა-ყუთი და II — სცენა-ამფითეატრი. პირველში იგულისხმება იარუსები და პარტერი, მეორეში კი სცენა, რომელიც სამი მხრიდანაა მაყურებლებით გარშემორტყმული.

დღეს ორივე ტიპის დარბაზი არსებობს. თანამედროვე ტექნიკა ბევრის საშუალებას იძლევა: სცენური სივრცე შეიძლება მოვაწყოთ შუა დარბაზში, ან მაყურებელი დავსვათ სცენაზე, სპექტაკლი კი დარბაზში გავითამაშოთ.

ყოველთვის დიდი ყურადღება ენიჭებოდა თეატრის შენობას. თეატრები, ჩვეულებისამებრ, ქალაქების ცენტრალურ მოედნებზე შენდებოდა, არქიტექტორები ცდილობდნენ თეატრის ნაგებობა რაც შეიძლება ლამაზი ყოფილიყო და ყველას ყურადღება მიეპყრო. თეატრში მისული მაყურებელი ყოველდღიური ცხოვრების რეალობას წყდება და სულიერად მაღლდება. ამიტომ, ხშირად, დარბაზში ლამაზი, სარკეებიანი კიბეებით შევდივართ.

**მუსიკა დრამატულ სპექტაკლში ძალიან მნიშვნელოვანია.** მუსიკა უდერს როგორც მოქმედებების, ასევე ანტრაქტების დროს. სპექტაკლში მთავარი პირი მსახიობია. ის განსაკუთრებული ადამიანია, რომელიც იდუმალი ხერხებით, ჩვენს წინაშე, მხატვრულ სახედ გარდაიქმნება. მსახიობობა გარდსახვაა, განსაკუთრებული ხელოვნებაა. ხელოვნების ნიმუში კი მსახიობის მიერ შექმნილი როლია. როლი მსახიობის ხმის, სხეულის, ნერვების, სულის ქმნილებაა. მეტყველია არა მარტო სიტყვა, არამედ მისი უსატები, პოზა, მიმიკა, მზერა... სცენაზე გათამაშებული მოქმედება მთლიანი, ერთიანი უნდა იყოს. ამას კი რეჟისორი აკეთებს და მსახიობის მოქმედებაც, ბევრწილად, მასზეა დამოკიდებული.

სპექტაკლს მხატვარ-დეკორატორი აფორმებს ფერის, სინათლისა და არქიტექტურული ნაგებობის წყალობით, სცენები უფრო „მეტყველი“ ხდება. მაყურებელი კი აფასებს რეჟისურას, მსახიობთა თამაშს, მხატვრის ნამუშევარს, მუსიკას და, რაც მთავარია, იგი ეზიარება ხელოვნებას. სპექტაკლის აზრის შეცნობით, იგი ცხოვრების აზრს შეიმეცნებს.

მუსიკა და უსატები სიტყვის მნიშვნელობას აძლიერებდა, ცეკები ზოგჯერ დამოუკიებელი, „ჩადგმული“ ნომრებიც იყო.

თეატრალური ხელოვნების ყველაზე გავრცელებული და პოპულარული სახეა დრამატული თეატრი, სადაც მთავარი სიტყვაა. თეატრალური ხელოვნების სახეობაა ოპერაც, სადაც მთავარი მუსიკა და ამბავი სცენაზე უნდა გათამაშდეს, ამიტომ მუსიკოსებს სამსახიობო ოსტატობაც მოეთხოვებათ. თეატრალური სახეობაა ბალეტიც, სადაც ამბავი ცეკვით გადმოიცემა.

თეატრალური წარმოდგენის უძველესი — ან-



შუა საუკუნეების თეატრის მსახიობები



შუა საუკუნეების ჟონგლიორები

ტიკური ხანის — სახეა **პანტომიმა** (ბერძნ. „pantomimos“ — „ყველაფერი წარმოსახული, მიბაძვით“). თანამედროვე პანტომიმა უსიტყვო სპექტაკლია.

თეატრალური ხელოვნების განსაკუთრებული სახეობაა **თოჯინების თეატრი**. ისიც ანტიკურ ხანაში გაჩნდა. ძვ. რომსა და საბერძნეთში მართავდნენ საშინაო სპექტაკლებს, სადაც თოჯინებს ძაფებით ათამაშებდნენ. არსებობს **მარიონეტების** — ხის თოჯინების — **თეატრიც** მსოფლიოში სახელგანთქმულია ქართველი დრამატურგის რევაზ გაბრიაძის მარიონეტების თეატრი.

### თეატრის წარმოშობის სხვადასხვა ვერსია

თეატრის წარმოშობის თაობაზე რამდენიმე აზრი არსებობს. პირველი თეორიის თანახმად, თეატრი წეს-ჩვეულებებისა და მაგიური რიტუალებისგან წარმოიშვა. ძველ რიტუალებში ყოველთვის იყო თამაში, მონაწილეები ხშირად იყენებდნენ ნიღბებს და სპეციალურ კოსტიუმებს. ადამიანი „თამაშობდა“ (მაგ; განასახიერებდა ღვთაებას) და ამით გავლენას ახდენდა სხვა ადამიანებზე, ბუნებაზე, ღმერთებზე. დროთა განმავლობაში, ზოგიერთი რიტუალი საერო თამაშად იქცა და უკვე გართობას ემსახურებოდა. ასეთ თამაშებში ხშირად მაყურებლებიც მონაწილეობდნენ.

მეორე თეორიის თანახმად, რაც უფრო ვითარდებოდა ევროპელი ადამიანი, მით უფრო მეტად უნდოდა მას გამოხატა საკუთარი თავი რაიმე სანახაობაში და ემოციური ზეგავლენა მოეხდინა საზოგადოებაზე.

**შუა საუკუნეების თეატრი** (V-XVII ს.ს.) ადრეულ შუა საუკუნეებში გაჩნდნენ მოხეტიალე ხუმარები — გასტრიონები, საფრანგეთში მათ **ჟონგლიორებს** უწოდებდნენ, ინგლისში — **მენესტრელებს**, რუსეთში — **სკომოროხებს**.

ეს ისევ ერთი მსახიობის თეატრი იყო. მსახიობი იყო ილუზიონისტიც, აკრობატიც, მოცეკვავეც და მუსიკოსიც. ის ოხუნჯობდა, დასცინოდა, ყვებოდა ამბებს.

უფრო მკვეთრი იყო **ვაგანტების** ხელოვნება, რომელშიც ჭარბობდა პაროდია და ფარსი. საეკლესიო ჰიმნების მოტივებზე ადიდებდნენ „ბახუსს“, დასკინოდნენ საეკლესიო მსახურებას. ამიტომაც დევნიდა მათ ეკლესია, თუმცა საეკლესიო მსახურების გამოსაცოცხლებლად თავად ეკლესიამაც დაიწყო თეატრალური ფორმების გამოყენება — შეიქმნა **ლიტურგიული დრამა**, წმინდა წერილის სიუჟეტებზე. ასეთი წარმოდგენები ჯერ ეკლესიებში, ხოლო შემდეგ ეკლესიის ეზოებში იდგმებოდა. ასეთი იყო, მაგალითად, XIII-XIV ს.ს. წარმოდგენა — „**მირაკლი**“ (საოცრება), წმინდანებსა და ქალწულ მარიამზე.

შუა საუკუნეების თეატრალური ხელოვნების მწვერვალია — **მისტერია**. მასში უამრავი ადამიანი მონაწილეობდა. ეს იყო სიუჟეტები ბიბლიიდან, დეკორაციებით, ალეგორიული პერსონაჟების ჩართვით, ტრაგიკული, მწუხარე სცენებითა და მხიარულებით.

პოპულარული იყო ე.ნ. „**მორალიტე**“ — წარმოდგენა, რომელშიც გმირები სულ ჩხუბობდნენ, კამათობდნენ და ასეთ პიესებში მრავლად იყო ფარსისა და სოციალური სატირის ელემენტები.

### ნიღაბის თეატრი

**ნიღაბი** — ინგლ. masque. ნიღბების თეატრი XVI-XVIII საუკუნეში, გასართობი, მუსიკალურ-პოეტური წარმოდგენა იყო მდიდრული დეკორაციებით, მითოლოგიურ, ზღაპრულ ან ალეგორიულ-პასტორალურ სიუჟეტებზე. სათავეს იღებს XV ს.-ის ინგლისური მეჯლისებისა და მასკარადებიდან, XVI ს.-ის სამეფო სასახლის კარის ნიღბების თეატრში სალაპარაკო დიალოგებთან, სიმღერებთან და ეტიკეტით გათვალისწინებულ ცეკვებთან ერთად, ჩართული იყო ე.ნ. revels-ები — („შფოთი, მძვინვარება“), რომლის დროსაც, წარმოდგენის მონაწილეები ქალბატონებს საცეკვაოდ მაყურებელთა შორის ირჩევდნენ და მათთან ერთად გაითამაშებდნენ გალანტურ თავგადასავლებსა და ინტრიგებს.

## აღორძინება



ლეონარდო და ვინჩის გრაფიკული ჩანახატები

ბერძნებისა და რომაელების ანტიკურ სამყაროს, მათ ხელოვნებას, რომელიც გამსჭვალული იყო სილამაზის, მშვენიერების იდეალებით, მოქალაქეობრივი პათოსით. მათვის საინტერესო იყო ადამიანის ანტიკური სახე, რომელიც არ იყო შეზღუდული დოგმებით, მშვენიერი იყო როგორც სხეულით, ასევე მდიდარი იყო სულიერად. მაგრამ რენესანსი არ ყოფილა ანტიკურობის მექანიკური განმეორება. რენესანსის ორი უმთავრესი ნიშანია ჰუმანიზმი და ჰარმონიულობა. რენესანსის ხსენებისას თვალ-

წინ წარმოგვიდგება უდიდესი გენიოსები – ლეონარდო და ვინჩი, რაფაელი, მიქელანჯელო, ბოტიჩელი, ჯორჯონე, ტიციანი, დიურერი, კოლბეინი და მათი ტილოები, ეს არის პეტრარკასა და რონ-სარის პოეზია, რაბლესა და სერვანტესის რომანები, ბოკაჩის ნოველები, შექსპირისა და ლოპე დე ვეგას დრამატურგია, ჯორ-დანო ბრუნოსა და გალილეის გენიალური მეცნიერული იდეები. ეს არის ტიტანების ეპოქა.



გიორგი დიუფაი

რენესანსის ეპოქის მუსიკა ხასიათდება ახალი ეროვნული სკოლების შექმნით, მათი რთული ურთიერთყავშირებისა და ურ-თიერთგავლენის პროცესით. სკოლები განიცდის ერთმანეთის გავლენას, მაგრამ საკუთარი ქვეყნების ფოლკლორთან სიახ-ლოვის გამო, არ კარგავს საკუთარ ეროვნულ თვითმყოფ სახეს.

**XV-XVI საუკუნეებში, წამყვანია ნიდერლანდური (ფრანგო-ფლამანდიური) პოლიფონიური სკოლა, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია ევროპის მუსიკალურ ცხოვრებაზე. მისი წარმომადგენლები არიან: გიორგი დიუფაი, იოჰანეს ლოეგემი, უოსკენ დეპრე, ორლანდონასო.**

XV ს.-ში ვითარდება ინგლისური პოლიფონიური სკოლა. ასევე გამოჩენილი ოსტატები წარმოჩნდებიან გერმანიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, პოლონეთში...

რენესანსული მუსიკალური ხელოვნება მწვერვალს აღწევს XVI ს.-ში. განსაკუთრებით აღსანიშნავია და მრავალფეროვნებით გამოირჩევა იტალია, სადაც მოღვაწეობდნენ უდიდესი კომპოზიტორები ჯოვანი პალესტრინა და ჯოვანი გაბრიელი. მათი ახალი ტიპის დრამატული მადრიგალები იტალიური ოპერის უშუალო წინამორბედია. მადრიგალებს ჰქონდა ლიბრეტო-სიუ-ჟეტიც, ჰყავდა მოქმედი პირებიც, დიალოგებიც, მაგრამ ჯერ არ



იოჰანეს ლოეგემი



ორლანდო ლასო



შოსკენ დე პრე

იყო სოლო არიები და რეჩიტატივები. ამ პერიოდში, საეკლესიო მუსიკაში ვითარდება და მწვერვალს აღწევს საგუნდო პოლიფონია, მესისა და მოტეტის უანრები. საერო მუსიკაში ვითარდება სხვადასხვა ვოკალური და ინსტრუმენტული უანრი: ვილანელა და ფრონტოლა – იტალიაში, ვილიან-სიკო – ესპანეთში, შანსონი – საფრანგეთში, ბალადა – ინგლისში, ასევე კაჩა (ნადირობა). ძლიერდება ინტერესი ხალხური სასიმღერო-საცეკვაო უანრებისადმი, კეთილხმოვანი და ბუნებრივი მელოდიები-სადმი. სწორედ აღორძინების ხანაში



გიორგ დე მაშო

იძენს სრულ დამოუკიდებლობას ინსტრუმენტული მუსიკა, იგი უკავშირდება ბარბითის (ლიუტნას), ორგანის, კლავესინისა და მისი ნაირსახეობების ფართოდ გავრცელებასა და პოპულარობას, ვრცელდება ინსტრუმენტული მუსიკის საოჯახო ფორმები.

**XVI** საუკუნის ბოლოს კი სავიოლინო ნაწარმოებები ჩნდება. განვითარდა მუსიკის თეორია, შეიქმნა მუსიკალურ-თეორიული ტრაქტატები. ფრანგმა ფილიპ დე ვიტრიმ შექმნა ეგ.წ. ახალი ხელოვნების – *ars nova*-ს პრინციპები, რომელიც დაუპირისპირდა ეგ.წ. ძველ ხელოვნებას – *ars antica*-ს, შუა საუკუნეების მუსიკას. იტალიელმა **ჯოვანი ცარლონომ** საფუძველი ჩაუყარა ჰარმონიის მეცნიერებას, შვეიცარიელი გლარეანო კი ჰამოფონიურ-ჰარმონიული და მაურულ-მინორული წყობის კანონზომიერებებს იკვლევდა.

*ars nova*-სთან არის დაკავშირებული ფრანგი კომპოზიტორის

**გიორგ დე მაშოს** შემოქმედება. მან დაწერა მოტეტები, ბალადები, რონდოები. 1364 წელს კი შექმნა მესა, რომელიც კარლოს V-ს მეფედკურთხევის ცერემონიალს მიეძღვნა. ეს მესა მუსიკის ისტორიაში I საავტორო მესად ითვლება.

აღორძინების ხანის გამოჩენილი კომპოზიტორის **ორლანდო ლასოს** (XVI ს.) საგუნდო ნაწარმოებები (acappella): „ექო“, „ტიკ-ტაკი“, „ჯარისკაცის სერენადა“ და სხვ. დღსაც ფართოდაა ცნობილი. **ჯოვანი პალესტინას** შემოქმედება კი ძველებური საგუნდო პოლიფონიის ე.წ. „მკაცრი სტილის“ ერთ-ერთი მწვერვალია. მან 100-მეტი მესა დაწერა, მათი მუსიკა ამაღლებული, მშვიდი, განათებულია და მრავალხმიან პოლიფონიურ ქსოვილში ლოცვის ტექსტებიც შესანიშნავად ისმის.



რაფაელი. ფერიცვალება



ჯოვანი პალესტინა

# ბალეტის ისტორიიდან



შან ბატისტ ლული

ოპერასთან ერთად, **ბალეტი** მუსიკალური თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთი რთული ჟანრია. თანამედროვე ბალეტი მუსიკალურ-სცენური ხელოვნების სახეა, რომლის საფუძველია ცეკვა და პანტომიმა. საბალეტო სპექტაკლებში ხელოვნების სხვადასხვა დარგიცაა გაერთიანებული: მუსიკა, მხატვრობა.

ბალეტის ისტორიაშორებული წარსულიდან მოდის, როდესაც ცეკვების შესრულება მეჯლისებზე დაიწყეს. ბალეტის წინაპრებად მიიჩნევენ: ხალხურ ცეკვებს, თამაშებს, წეს-ჩვეულებებს, შეჯიბრებებს, სადღესასწაულო სვლებს. სიტყვა „ბალეტი“ შემოვიდა იტალიური სიტყვიდან „ballare“, რაც ნიშნავს „ვცეკვავ“.

შუა საუკუნეებში, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის ცხოვრების წესი მკვეთრად განსხვავებული გახდა, ასევე შეიცვალა ქალაქისა და სოფლის ცეკვები. XIV ს.-ის ბოლოს, პირველი „ტანცმაისტერები“ ახალ საცეკვაო მოძრაობებს ქმნიდნენ. ცეკვებს ასწავლიდნენ დიდებულ ბატონებსა და ქალბატონებს, რომლებიც საკუთარი სიამოვნებისთვის ცეკვავდნენ. XV ს.-ში სასახლის კარის მეჯლისები პატარა სპექტაკლებად გადაიქცა და ამიერიდან, ცეკვების მიმდევრობას მეჯლისზე ადგენდა „მეჯლისების ოსტატი“ — **ბალეტმაისტერი**. ამ გაერთიანებულ ცეკვებს კი სახელად ბალეტი ეწოდა. შესაძლოა, ეს საცეკვაო სუიტა გახდა კლასიკური ბალეტის დასაწყისი. XV-XVI ს.ს.-ში, მოდაში იყო საცეკვაო სპექტაკლები მარტივი სიუჟეტებით — **ინტერმედიები**, დიდებულთა „გამოსვლები“, ასევე **დივერტისმენტები** — ცეკვების რიგი, რომლებიც ერთმანეთთან სიუჟეტით არ იყო დაკავშირებული.

1581 წელს საფრანგეთის მეფის კარზე დადგმული სპექტაკლი „დედოფლის კომედიური ბალეტი“ პირველ ბალეტად ითვლება. ამ ბალეტში ვოკალური ნომრებიც იყო და დიალოგებიც, თუმცა მთავარი ადგილი ცეკვას ეკავა. შემსრულებლები სასახლის დიდებულები და თავად დედოფლიც იყო.

XVII ს.ში საფრანგეთში ნამდვილი გადატრიალება მოხდა: ბალეტი პროფესიულ დონემდე ამაღლდა, ხოლო თეატრალური ჟანრები — ოპერა და ბალეტი ფრანგი მუსიკის, ჟ.ბ. ლულის შემოქმედებაში შეერწყა ერთმანეთს.

1671 წელს, პარიზში გაიხსნა დედოფლის ცეკვის აკადემია. მოგვიანებით კი, საოპერო თეატრი — „მუსიკის სამეფო აკადემია“, რომლის ხელმძღვანელი იყო ლული. 1713 წელს თეატრთან დაარსდა საბალეტო სკოლა, რომელიც ევროპის მთავარ საბალეტო სკოლად იქცა. ამ სკოლაში ჩამოყალიბდა კლასიკური ბალეტის მკაცრი წესები. სოლო ცეკვებად ასრულებდნენ მენუეტს, გავოტს.

XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე, საცეკვაო მოძრაობების ჩასაწერად გამოიგონეს სპეციალური „ნოტები“, გაჩნდა ცნება „ქორეოგრაფია“ — ეს სახელწოდება ბერძნული სიტყვიდან მომდინარეობს: „qoreia“ — „ცეკვას“, „grafeo“ კი „ვწერ“-ს ნიშნავს. მოგვიანებით ეს სახელი საცეკვაო ხელოვნებას უწოდეს.

XVIII საუკუნეში ვენაში ბალეტი იდგმებოდა ჩადგმული ვოკალური ნომრების გარეშე. თანდათან განვითარდა ცეკვის ვირტუოზული ტექნიკა. ზოგჯერ ბალეტებისთვის სპეციალურ მუსიკას წერდნენ. საინტერესოა, რომ რამდენიმე ბალეტი გლუქმაც დაწერა. იმ დროს



ნოვერის ქორეოგრაფია

ბალეტი ჯერ კიდევ ვერ უტოლდებოდა თავისი მნიშვნელობით ოპერას. მხოლოდ XVIII ს.-ის II ნახევარში იქცა ბალეტი დამოუკიდებელ მუსიკალურ-თეატრალურ სახეობად და სხვადასხვა ეპ-როპულ ქვეყანაში გავრცელდა.

XVIII ს.-ის II ნახევარში ფრანგმა მოცეკვავემ, ქორეოგრაფმა და ხელოვნების თეორეტიკოსმა ჟან უორჟ ნოვერმა ბალეტი გარდაქმნა. მას „**თანამედროვე ბალეტის მამასაც**“ უწოდებენ. ნოვერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მუსიკას და თვლიდა, რომ ცეკვას მუსიკა უნდა აესახა. დიდად განვითარდა ბალეტი XIX ს.-ის II ნახევრიდან, როდესაც ჩაიკოსვსკის ცნობილი ბალეტები შეიქმნა.

ბალეტი, თავისი აგებულებით, ოპერას ჰქონდა. იგი შედგება ნომრებისგან, რომელთა შორისაა როგორც სოლო ცეკვები, ოპერის არიების მსგავსად, ასევე წყვილთა ცეკვები – დუეტების მსგავსად, ასევე ჯგუფური ცეკვები – ანსამბლები. მასობრივ სცენებში კი მონაწილეობს კორდებალეტი, რომელიც შეიძლება ოპერის გუნდებს შევადაროთ.



ჟან უორჟ ნოვერი



### **კორდებალეტი – ფრანგ. *corps de ballet* — „საბალეტო კორპუსი“ —**

ბალეტის 8-30 მოცეკვავე, რომლებიც მასობრივ სცენებში მონაწილეობენ და სხვადასხვა საცეკვაო ნომერში პანტომიმასთან მონაცვლეობენ.

**პანტომიმა** – მსახიობის მუნჯური თამაში, თავისებური საცეკვაო „რეჩიტატივი“. გამომსახველი ჟესტების, პოზებისა და მიმიკის ენა.

ბალეტს, ოპერის მსგავსად, უვერტიურა და სიმფონიური ანტრაქტიებიც აქვს.

ბალეტში ყველა იმ ნომერს, რომელშიც ძირითადი პერსონაჟები მონაწილეობენ სოლო ენოდება, მიუხედავად იმისა, რამდენი მოცეკვავე მონაწილეობს ცეკვაში.

საბალეტო **ანსამბლებს** ასრულებენ **კორიფეები** – კორდებალეტის მოცეკვავეები – 4-დან 8-მდე. ასეთი ანსამბლის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ პატარა გედების ცეკვა, ჩაიკოსვსკის „გედების ტბიდან“. ხოლო ნომრებს, რომლებშიც მთელი კორდებალეტი მონაწილეობს, **მასობრივ სცენებს** უწოდებენ.

ბალეტში **სოლო ნომრებს** თავისი დასახელებები აქვს:

**ვარიაცია** – ერთი სოლისტის ცეკვა, რომელიც სამი ნაწილისგან შედგება. მისი პირველი და ბოლო ნაწილი ერთ ტემპშია დაწერილი, შუა კი სხვა ტემპში.

**პადედე** – ფრანგ. **pas de deux** — „ორთა ნაბიჯი“ საბალეტო დუეტია. აქვს 5-ნაწილიანი აგებულება:

- 1) ანტრე – საერთო გამოსვლა;
- 2) ადაჯიო – ლირიკული დუეტი;
- 3) მამაკაცის სოლო ვარიაციები;
- 4) ქალის სოლო ვარიაციები;
- 5) კოდა – ერთობლივი დასკვნითი ნაწილი.

**პა-დე-ტრუა** – ფრანგ. **pas de trois** — „სამთა ნაბიჯი“ — საბალეტო ტერცეტი, ტრიო 6-ნაწილიანია. აქ ადაჯიოს ქალის კიდევ ერთი ვარიაცია ემატება.

**პა დე კატრი** - ფრანგ. **pas de quatre** — „ოთხთა ცეკვა“ — საბალეტო კვარტეტია.

შეგვიძლია საბალეტო და საოპერო ნომრების შედარება.

ოპერა	ბალეტი
სოლო ნომერი:	არია
დუეტი	პა-დე-დე
ტერცეტი	პა-დე-ტრუა
კვარტეტი	პა-დე-კატრი
რეჩიტატივი	პანტომიმა
გუნდი	მასობრივი სცენები

ბალეტში გვაქვს კლასიკური და სახასიათო ცეკვები.

**კლასიკურ ცეკვებს** ასრულებენ თითის წვერებზე – **პუანტებზე**. ამ ცეკვის ძირითადი პოზიციები საფრანგეთის აკადემიაში ჩამოყალიბდა, XVIII ს.-ში.

სახასიათო ცეკვები კი ხალხური და სამეჯლისო ცეკვების მიბაძვით შეიქმნა.



P.S. ქართველი ქორეოგრაფი, რომელმაც ქართული ხალხური ცეკვის ჩასაწერად გამოიგონა სპეციალური ნიშნები, იყო დავით ჯავრიშვილი.



პარიზის ოპერის შენობა

ჩარლზ გარნერის მიერ, 1857 წელს, ნეო-ბაროკოს სტილში აშენებული, მსოფლიოში ყველაზე დიდი ოპერის სახლი, პარიზში. მას მინიჭებული აქვს უამრავი პრიზი და ითვლება ყველა დროის არქიტექტურულ შედევრად. ის პარიზის სიმბოლოა.

## XIX საუკუნის ოპერა

XIX საუკუნეში, საოპერო ჟანრში რიგი სიახლეები შეინიშნება:

1) გაფართოვდა ოპერის ჟანრის გეოგრაფია. შეიქმნა გერმანული, რუსული, პოლონური, ჩეხური ოპერები, რომლებიც თავიანთი ეროვნული თავისებურებებით და ტრადიციებით გამოირჩევა;

2) გაფართოვდა საოპერო ნაწარმოებების სიუჟეტური წრე, ერთგვარად წაიშალა ზღვარი ტრაგიკულ და კომიკურ ჟანრებს შორის;

3) მოქმედ გმირთა სახეები უფრო რეალისტური და მრავალფეროვანი გახდა, ამან კი გამომსახველობის ახალი საშუალებები მოითხოვა;

4) შეიცვალა ოპერის შინაგანი აგებულებაც. უფრო მრავალფეროვანი გახდა არიების ტიპები, წაიშალა ზღვარი რეჩიტატივსა და არიას შორის, გაძლიერდა ორკესტრის ფერადოვანი



შავ ოფენბახი

და დრამატურგიული როლი. უფრო ხშირად უღერდა ლაიტმოტივი;

5) ოპერიდან გამოიყო ახალი ჟანრი – ოპერეტა.

### ოპერეტა

XIX ს.-ის შუახანებში შეიქმნა ოპერის კიდევ ერთი ნაირსახეობა – ოპერეტა. ეს სიტყვა „მცირე ოპერას“ ნიშნავს. ადრე ასე უწოდებდნენ მცირე ზომის კომიკურ ოპერებს, სალაპარაკო დიალოგებით.

1855 წელს ფრანგმა მუსიკოსმა, ვიოლონჩელისტმა და დირიჟორმა, არაერთი მოდური ცეკვისა და მახვილგონივრული მუსიკალური პაროდიების ავტორმა, **ჟაკ ოფენბახმა** გახსნა საკუთარი თეატრი „**ბუფ პარიზიე**“.

1857 წელს, ამ თეატრის სცენაზე დაიდგა ოფენბახის ოპერა „**ორფეოსი ჯოჯოხეთში**“, რომელიც „დიდი ოპერის“ ერთგვარი პაროდია იყო და ჭარბობდა სატირული მინიშნებები იმ დროის პარიზის ცხოვრებაზე. ოფენბახის ოპერეტები ნამდვილი ოპერის მსგავსად იყო აგებული, თუმცა არიების ნაცვლად უღერდა კუპლეტები, რომლებიც ქუჩის სიმღერებს მოგვაგონებდა, ხოლო საორკესტრო-საბალეტო სცენები გალოპებითა და კანკანებით მთავრდებოდა. ოპერეტებში აუცილებელი იყო სალაპარაკო დიალოგები. სატირული ოპერეტების კვალდაკვალ, ოფენბახმა ლირიკული ოპერეტებიც შექმნა, რომლის ადვილად დასამახსოვრებელ მელოდიებს შემდეგ მთელი პარიზი მდეროდა. ცნობილი იყო ასევე **შარლ ლეკოკის** ოპერეტებიც. პარიზული ოპერეტები მალე საფრანგეთის გარეთაც გაიცნეს. ოფენბახის ოპერეტის გავლენით, ავსტრიელმა კომპოზიტორებმაც დაიწყეს ოპერეტების წერა. მათ შორის იყო ვალსების ცნობილი ავტორი **იოპან შტრაუსი-შვილიც**. მისი ყველაზე პოპულარული ოპერეტებია „**ლამურა**“ და „**ბოშათა ბარონი**“.

XX ს.-ში, ვენის ოპერეტის ტრადიციებს აგრძელებენ უნგრელი ფერენც ლეგარი, რომლის ოპერეტები: „**სილვა**“, „**მარიცა**“ და „**ცირკის პრინცესა**“ მთელს მსოფლიოშია ცნობილი. კალმანისა და შტრაუსის ოპერეტების მიხედვით ფილმებიცა გადაღებული.

### XX საუკუნის მუსიკალური თეატრი

XX ს.-ის დასაწყისში ბევრს ეჩვენებოდა, რომ საოპერო ჟანრმა თავის თავი ამონურა, რომ ეს წარსულის ხელოვნებაა და მხოლოდ ნაწილობრივ არის თანამედროვე.

თუკი XIX ს.-ის II ნახევარში, ერთი ოპერის ფარგლებში, შეიძლებოდა შერწმულიყოფრაგიული და კომიკურიც, XX ს.-ის ოპერაში სრულიად სხვადასხვა ჟანრის ელემენტები შეიქრა, მათ შორის, ორატორიის, კანტატის, საცირკო წარმოდგენის, პანტომიმის, კინემატოგრაფიისა. ზოგჯერ, შესაძლოა, ვერც კი განვსაზღვროთ ამა თუ იმ საოპერო ნაწარმოების ჟანრი, რის გამოც ცნება „ოპერა“ შეიცვალა ცნებით „**მუსიკალური თეატრი**“.


ის ოპერებიც კი, რომლებიც არც კი სცილდება ტრადიციის ფარგლებს, წარსულის ოპერებისგან მკვეთრად განსხვავდება, თავისი მუსიკალური ენით.

მაგ. ცნობილმა ავსტრიელმა კომპოზიტორმა – ატონალური მუსიკის ფუძემდებელმა, არნოლდ შონბერგმა, თვისი ვოკალური ნაწარმოებებისთვის გამოიგონა ახალი ხერხი – **შპრეხეზანგი (sprechgesang** — „**სიმღერა ლაპარაკით**“). ეს განსაკუთრებული რეჩიტატივია, რომელიც კი არ იმღერება, არამედ წარმოითქმება, ოღონდ მკაცრად განსაზღვრული რიტმით და ნოტებითაა გამოწერილი. რეჩიტატივი ჩაიწერება ნოტებით, რომლებსაც მრგვალი თავების ნაცვლად, ჯვრები აქვს დასმული თავზე, ანდა გამოწერილია ჩვეულებრივი ნოტებით, ოღონდ ერთ ხაზზე.

ასეთი „**მოლაპარაკე მღერა**“ მუსიკალური ენის მთავარი სიახლე იყო. სხვა სიახლეები



იოპან შტრაუსი (შვილი)



არნოლდ შონბერგი

კი საოპერო ნაწარმოებების სცენური მოქმედების ხასიათს შეეხო.

ასე მაგ; **მონოპერა.** გავიხსენოთ სიტყვები „მონოდია“ — „ერთხმიანობა“, „მონოლოგი“ — ერთი ადამიანის განვითარებული მეტყველება, საუბარი. „მონოპერა“ კი ნიშნავის ოპერას ერთი მოქმედი გმირით. ასეთია **შონბერგის „მოლოდინი“, პულენკის „ადამიანის ხმა“** და სხვ.

XX ს-ში სხვა ტიპის ოპერებიც შეიქმნა. მაგ; **იგორ სტრავინსკიმ**, ძველბერძენი დრამატურგის — ესქილეს ტრაგედიის მიხედვით დაწერა ოპერა-ორატორია „ოიდიპოს მეფე“. ბერძნული ტრაგედიის მსგავსად, ოპერაში დიდ როლს ასრულებს გუნდი, რომელიც სცენებს შორის მოგვითხრობს სიუჟეტში განვითარებული მოვლენების შესახებ. ასევე ძველბერძნულ სიუჟეტზე დაწერა სტრავინსკიმ

ოპერა „პერსიფონა“, რომელსაც **მონოდრამა** უწოდა. ამ ნაწარმოებში სიმღერას დეკლამაცია და პანტომიმა ენაცვლება.

რამდენიმე ნაწარმოები დაწერა მუსიკალური თეატრისთვის კარლ ორფმა. ესენია სცენური კანტატა „კარმინა ბურანა“, „პიესები მომლერლების, მსახიობების, გუნდისა და ორკესტრისთვის“ და სხვა.

პირველად შეერწყა ერთმანეთს სცენის მოქმედება და კინოპროექცია ფრანგი კომპოზიტორის დარიუს მიიოს ოპერაში „ქრისტეფორე კოლუმბი“.

რადიოსა და ტელევიზიის განვითარებასთან ერთად, წარმოიშვა ახალი ჟანრები — **რადიოპერა** და **ტელეპერა** — სპეციალურად რადიოსა და ტელევიზიისთვის დაწერილი ოპერებია, ასევე კლასიკური ოპერების რადიო და ტელეწარმოდგენები.

ამერიკაში წარმოიშვა ახალი მუსიკალური თეატრალური ჟანრი — **მიუზიკლი**, რომელშიც ოპერეტის სცენური თავისებურებები შერწყმულია ჯაზური მუსიკის ენასთან.

XX ს.-ის 60-იან წლებში შეიქმნა კიდევ ერთი ახალი ჟანრი — **როკ-ოპერა**, რომელშიც თეატრალური მოქმედება შერწყმულია როკ-მუსიკის სტილისთვის დამახასიათებელი მღერის მანერასთან და ინსტრუმენტულ ტემპრებთან.

XX ს.-ის ამერიკელ კომპოზიტორისა და მუსიკოსის — **ლეონარდ ბერნსტაინის** „ვესტ-საიდის ისტორია“ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მიუზიკლია მთელ მსოფლიოში. ამ მიუზიკლს საფუძვლად უდევს შექსპირის ტრაგედია „რომეო და ჯულიეტას“ სიუჟეტი, რომლის მოქმედებაც თანამედროვე ამერიკაში გადმოიტანა კომპოზიტორმა — კერძოდ, ლარიბებით დასახლებულ ნიუ-იორკის დასავლეთ გარეუბანში — ვესტ-საიდში, სადაც ახალგაზრდების ორი დაჯგუფება ერთმანეთს ექიმდება. ესენი არიან ნიუ-იორკის მკვიდრნი — „რაკეტები“ და პუერტო-რიკოს ლარიბი ოჯახებიდან ჩამოსული ახალგაზრდები — „ზვიგენები“. ნიუ-იორკელ ტონის პუერტორიკოელი მშვენიერი ქალიშვილი — მარია შეუყვარდება. მარიას ძმა



იგორ სტრავინსკი



კარლ ორფი

— ბერნარდო პუერტორიკოელთა დაჯგუფების ხელმძღვანელია. ახალგაზრდები გადაწყვეტენ, უძლიერესის საბოლოოდ გამოსავლენად, შეებრძოლონ ერთმანეთს. ტონი შეეცდება შეაჩეროს ეს ორთაბრძოლა, მაგრამ მისი საუკეთესო მეგობარი — რიფი იღუპება. თავზარდაცემული ტონი ბერნარდოს კლავს. შემდეგ ტონიც კვდება. სასონარკვეთილი მარია დაღუპულ ტონის დასტირის. მიუზიკლი ამ ორი დაჯგუფების შერიგებით მთავრდება.



დარიუს მიიო

**ლიბრეტო** — ოპერის, ოპერეტის, მიუზიკლის სიტყვიერი ტექსტი, ბალეტის ლიტერატურული სცენარი.

**არია** — მოქმედი გმირის ვოკალური მონოლოგი, გმირის მუსიკალური პორტრეტი. ეს არის დასრულებული მუსიკალური ნომერი. იტალიური ოპერაში არია ვირტუოზულია, დაწერილია 3-ნაწილიანი ფორმით (**da capo.**) სადაც III მონაკვეთი ზუსტად იმპორებს I-ს. ფრანგული არიები კი უფრო მარტივია, ხასიათით სიმღერას უახლოვდება და ხშირად კუპლეტური ფორმითაა დაწერილი.

**რეჩიტატივი** — თავისუფალი ფორმით აგებული ნომერი, რომელშიც ვოკალური ინტონაცია ბაძავს სალაპარაკო მეტყველებას. რეჩიტატივში სიუჟეტური სიტუაციებია განვითარებული. არსებობს 1) „მშრალი“ — **secco** რეჩიტატივი, რომელშიც მომღერალი კლავესინის გაჭიმული აკორდების ფონზე რიტმულად იმპროვიზირებს. 2) **accompagnato** — აკომპანიატო რეჩიტატივში რიტმი გამოწერილია ზუსტად და ასეთ რეჩიტატივს აკომპანემენტს მთელი ორკესტრი უწევს.

**ანსამბლი** — დასრულებული მუსიკალური ნომერი, რომელშიც რამდენიმე პერსონაჟი მონაწილეობს.

**გუნდი** — ჩადგმული ნომერი, რომელსაც ასრულებს გუნდი, მასში არ მონაწილეობენ ოპერის გმირები. ძველ იტალიურ ოპერაში გუნდი ძველბერძნული დრამის მსგავსად, ამბის კომენტარია. მოგვიანებით გუნდი ხალხის კოლექტიური სახე იყო ან ერთგვარი კოლორიტული ფუნქცია ჰქონდა.

